# თეატრი და ცხოვრება

წელიწადი XVI

გამოცემის 1926

იანვარი


## შ ი ნ ა ა რ ს ი:


I-li — „დეზერტირკა“ (ნ. აზიანის) ბიქტ. თევზაია — შიო არაგვისპირელი; გ. არგარელი — ქარის აფრები; რ. ქორქია — უმუშავარი; თ. გოგოლაშვილი — შექსპირის განთავისუფლება; ლ. გუდიაშვილი — თანამედროვე მხატვრობა; კ. პელი — ლილლეჟ-დან; ა. ონელი — მე, მამაჩემი და ხარები; გრ. ნათაძე — პირიმზისაკენ; ი. იმედაშვილი — დაწიხლულთა მეგობარი; ვ. ხატიაშვილი — ახალგაზრდობა და თეატრი; ი. ინაშვილი — სახითმეტყველება; ბიბლიოგრაფია; თეატრები; სურათები; ქრონიკა; განცხ.



თეატრი: პოეზია: მუსიკა: მხატვრობა: ქანდაკება:

№ 14




შიო არაგვისპირელი
(შიო ზაქარიასძე დედაბრიშვილი)

დაიბადა 1867 წ. დეკემბრის 4-ს, გარდაიცვალა 1926 წ. იანვ. 2-ს.

# მიიღება ხელის მოწერა

## 1926 წლის

### წელიწადი მეთექვსმეტე

სამხ. სათეატრო სალიტერატურო ჟურნალ

# „თეატრი და ცხოვრება"-ზე

**ჟურნალი გამოვა ორ კვირაში ერთხელ 1 და 16 ყოველთვისას.**

**ჟურნალში მოწვეულნი არიან:** (ანბანზედ) პრ. არაყიშვილი დიმ., ბარნოვი ვასილ, გოგოლაშვილი თამარ, გომართელი ივ., გრიშაშვილი იოსებ, გუდიაშვილი ლადო, დევდარიანი სეით, თარიშვილი ნინო, თვეზხაია ვიქტორ, კალაძე რ., კაზანელი კონსტანტინე, კოტეტიშვილი ვახტანგ, ლორთქიფანიძე ნიკო, მარიჯან, მოსაშვილი ილო, ნათაძე გრიგოლ, ოლანეზაშვილი ალ., რამიშვილი ტრ., ტაბიძე გალაკტიონ, პრ. უზნაძე დიტო, შიუკაშვილი ნიკო, პრ. წერეთელი გრიგოლ, ჯავახიშვილი მიხ.

(დამატებითი სია შემდეგ).

იანვრის ბოლო რიცხვებში წლიურ ხელის მომწერთ უფასოდ დაურიგდებათ **შოთა რუსთველის** დიდი ზომის სურათი. შესრ. მხ. ჯაფარიძის მიერ. (ცალკე გასასყიდად ეღირება 1 მან. 50 კ.) თებერვლის ბოლო რიცხვებში—პრემია, (რომელიც უკვე იბეჭდება)

## „ცხოვრების სარკე",

სადაც მოთავსებული იქნება 5 პიესა, სახელმძღვანელო ახ. სცენის მოყვარეთათვის, იუმორისტული განყ. და სხ.

### ჟურნალის გამოწერის პირობები:

| 1 თვით 4 ნომერი | 3 თვით 12 ნომერი | 6 თვით 24 ნომერი | წლიურად 48 ნომერი |
|---|---|---|---|
| 1 მან. | 3 მან. | 5 მან. 50 კაპ. | 10 მან. |

**ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.**

პრემიას მიიღებენ მხოლოდ წლიური ხელის მომწერნი, რომელნიც წიგნის გამოსვლამდე გადაიხდიან არა ნაკლებ 6 მანეთისა.

**რედაქციის და კანტორის ბინა:** რუსთაველის გამზ., 36. ტელეფონი 22—34.

**ფოსტით:** ტფილისი რუსთაველის 36. „თეატრი და ცხოვრება".

მომავალ ნომრიდან ჟურნალის ყდა ლადო გუდიაშვილის

რ ე დ ა ქ ც ი ა.

1910—1926
№ 14
(370)
იანვარი

რედაქციის და კონტორის ბინა: რუსთაველის პრ. № 36. ყოველგვარი მასალა და ფული უნდა გამოიგზავნოს რედ. პ. რწმ. შ. იმედაშვილის სახელზე, შემდეგი მისამართით: ტფილისი რუსთაველის გამზ. № 36. „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქცია, შ. იმედაშვილს.

მთავარი რედაქტორის ნახვა შეიძლება ხუთშაბათობით 10—2 საათ. რედ. პ. მ. რწმუნებულის ყოველდღე 12—3 საათ. და 4—6 საათ. ტელ. № 22-34
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

თეატრი: პოეზია: მუსიკა: მხატვრობა: ქანდაკება:

I-li

# „დეზერტირკა“

ნ. აზიანის. ტფ. აკად. დრამა.

ძველი რომი, ულამაზეს ქანდაკებებითა და მარმარილოთი ნაგებ იატაკებით სავსე თავის მოედნებზე მოშივნულ და ამღელვარებულ ბრბოს არაოდეს არ უდგავდა თემითა და ზემეშჩანურ იდეებით დატვირთულ წარმოდგენებს.

ეს არ იყო გასაკვირალი მის თანამედროვე არც ერთ ხელოვანისა და მოაზროვნესათვის. წუთიერ მოვლენებით ალტკინებულ საზოგადოებას უთუოდ სჭიროდა სუბუქი, დროულ მომენტების და შემთხვევების ეკლექტიკური სახის მატარებელი სანახაობა. მას არ შეეძლო ფიქრი და ემოციათა ესტეტიური განრიგება. ამიტომ იყო მცოდნე უმცირესობის სიტყვა სუფთა ხელოვნების და სცენის გაბალაგანების წინააღმდეგ, მისით დაფარული.

„დეზერტირკა“-ს „გამარჯვება“ ქართულ სცენაზე არ იყო დაფიქრებულ მაყურებლის სიტყვა. ტფილისის საზოგადოების გემოვნება და ესტეტიზმის გაგების დონე იმდენად ჭრელია, რომ ხელოვნების და კერძოდ სცენიური მოვლენების შეფასებიდან მცოდნე მაყურებლის სიტყვა ძნელად გამოირჩევა.

მგონი არც ერთ პიესას არ მიუზიდავს იმდენი ხალხი რამდენიც „დეზერტირკა“-ს... ამას აქვს თავისი ახსნა, რომელიც არახელოვნურ ქვეყნიდან მოდის.

„დეზერტირკა“ საქართველოში უკანასკნელ წლებს მომხდარ ბრძოლების და გადატეხების ოდნავ გაშარჟებული სურათებია. მხოლოდ სურათები.

სინამდვილე სცენაზე—დაუმუშავებელი, არგარდაქმნილი ხელოვანისაგან თავის დღეში არ არის მიღწევა. მას არაოდეს არ იღებს ხელოვნება თვის მიღწევათა შორის. იგი ელის მხოლოდ იმ აუცილებელ კატასტროფას, თუ გადატრიალებას, რომელიც მთელს ეპოქას გადარეცხს ხოლმე ზედნაშენი, არა მარადიულ მოვლენებისა და თემებისაგან. გარეცხილი ეპოქა თვის სუფთა სახეზე არაოდეს არ ტოვებს დროულ მღელვარებისაგან შექმნილ „იდეებს“. იგი რეცხს საუკუნეს მოვარდნილი ხლამისა და ბალასტისაგან.

ამ ნარეცხში ვარდება დროული, მეშჩანურ სულისკვეთებით დატვირთული კლასთა თუ ჯგუფთა ვიწრო მიზნებით ნაშენი „კულტურა“, რომელიც თანამედროვეთაგან ყოველთვის დიდების სამოსელითაა შემკობილი.

ამასთან ერთად ამ „კულტურა“-ს მიჰყვება ყველა ის არამხატვრული ფორმები, რომელნიც მას აჩენდენ „თანამედროვეობის“ გემოვნების ჩენის ხერხთა ვარიაციებით. ყველა ეს მომენტები უნდა იქმნენ გათვალისწინებული „დეზერტირკა“-ს ლიტერატურული შეფასების დროს, რომ საკითხი სწორად დაისვას (მისი რაობის) და სწორად გადიჭრას კიდეც.

არის „დეზერტირკა“-ს შიგნეულობაში ჭეშმარიტი შემოქმედების მაგვარი რამ (რომელიც იქნება ხელოვნების, კერძოდ სცენის აუცილებელ პირველ მოთხოვნათა დამაკმაყოფილებელი)? არის მასალა როლისათვის? არის დაძლევა თეატრის ტრადიციულ მანერების, ტეხნიკის, სტრუქტურის, აქვს მას თემა, რომელზედაც აგებულია იგი?...

„დეზერტირკა“ არაა პიესა. იგი არც მხატვრული ნაწარმოებია. მას არა აქვს სიუჟეტი და ამიტომ ბუნებრივად ვერაა გაშლილი მკვეთრად არც ერთი როლი. მას არა აქვს რაიმე მხედველობა, ამიტომაა აქედანვე თემატიურ ღირებულებას მოკლებული....

აქედან ადვილად იხსნება ის რკალი, რომელმაც იგი თეატრის ქვეყნის მხოლოდ სატირის სუბუქ მხარეში მოაქცია. ის, რაც არის მასში ამაღელვებელი არაა შემოქმედებას (თუმცა ზედმიწევნითი ასახვა ტიპების და მომენტების ფსიქოლოგიის, ჰქმნის ნიჭიერ დამკვირვებლის ავტორიტეტს):

ტფილისის დანგრეული არისტოკრატია დეზერტირის ბაზარზე (რევოლიუციით შეშინებული)... იდეებ ჩამოცლილი ქართველი ინტელიგენტი, რომელიც ველარ აზროვნებს... მთელი ქვეყნის ნაძირალა ხალხი, რომელშიც გაითქვიფა ქართველი: ქართველი ბრადიაგა, ქართველი მუთაქებისა და ბალიშების მყიდავი... ქართველი კიდევ ოცნებების ბურუსში გახვეული (საქართველოზე მლოცველი)... ქართველი უხეში რევოლვერ: ჩამოკიდებული... ქართველი ტეტია „სამოვრის მიწის“ მყიდავი... ნივთები, სინიდისი, წარსული, აწმყო, მომავალი... ეს ყველაფერი ბაზარზეა გამოტანილი ბედის ბრუნვის სიმბოლოთ. ფულისა და ვაჭრობის სახით.

დამარცხებული ჯგუფები, გამარჯვებულები, მაძღრები, მშივრები, ბრადიაგები, უკეთილშობილესი ადამიანები, ყველა გამასხარავებულია როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობის ცერხულში ჩაბმული აუცილებელი ტიკინები, პატარა მანქანები...

ადამიანები სდგანან სასტიკი ბედით დაცინულები, რომელთაც თავის თავს (მხოლოდ) ბირჟაზე შეხედეს.

ყოველი ტიკინა თავისებურად იღებს რევოლიუციას... რევოლიუცია დადგა და დადგა იმიტომ, რომ ერთმა სამსახური იშოვნა. მეორესთვის არაა რევოლიუცია ჯერ მოსული იმიტომ რომ მშიერია და სამსახური არა აქვს. მესამესთვის რევოლიუცია დამდგარია და კარგია იმიტომ, რომ მას ერევანში მაინც არ გადაასახლებენ. სხვები კიდევ ელიან რევოლიუციას... უფრო დიდს...ის იქნება ნამდვილი იმიტომ, რომ მათ შეეძლებათ თავისი ინტერესები ავტოთი და «სოლოლაკის» ცხოვრებით გაანაღდონ... კიდევ ბევრნი ელიან რაღაცას... ის იქნება რეაქცია, მაგრამ ესენი რევოლიუციას დაარქმევენ, იმიტომ რომ ასე სურთ. ინტერესებს ინტერესები ლახავენ, იდეების ნიღაბებით მოქმედებენ პრინციპები, რომელნიც მხოლოდ კერძო ტიკინების მიზნებს შეიცავენ... და ერთი (არა ნაძირალა) ასე ამთავრებს რევოლუციით გადმოპირქვავებულ ადამიანების რაობის პორტრეტს: ნეტა ჩემ თვალწინ ერთ წუთს მაინც ძველი გოროდოვოი დადგეს და უკანა კუნთებზე ვემთხვევი მოწიწებით... მეორე შენიშნავს: ისეთი ოჩერედი იქნება გამართული, რომ შენ ამას ვერ მოახერხებ არავინ მიგიშვებს!..

ასეთ სასტიკ ირონიით გამასხარავებულია ყოველივე... აქ არის ტიპები, თემები, მაგრამ ისინი არაა განზოგადებული. ესენი მხოლოდ აღებულია. საკითხი აღძრულია მხოლოდ და არა გადაჭრილი.

ხელოვნებისათვის ხომ პირველ საქმედ საკითხის აღება არაა. მის დამუშავებისა და გადაჭრით წარმოიდგინება სცენის მხატვრული სისრულე.

„დეზერტირკა“-ს სისუსტე სწორედ აქედან წარმოიშვის. ის რაც არის მასში ყოველი ტფილისელი ქართველისათვის ხილულია. განა ყველა ის ტკივილები, თუ სხვა რამ, რაც აღძრულია «დეზერტირკით» ქართველისთვის უცნობია? საქმეც ისაა, რომ ავტორს ის მასალა რომელიც ყოველ ჩვენგანის გულზე მოიპოვება, სცენაზე უნდა გადაეტანა უფრო მკვეთრი სახეებით. უნდა აემოძრავებია.

იდეიურ როლისათვის საჭიროა ტიპის მეტი ექსპრესიით გაშლა. ეს არა აქვს „დეზერტირკა“-ს. მისი ყოველი ტიპი გაყინულია პირველ სახის ჩენილობასთან. არ არის არც ერთი როლი, რომლის გარშემო უნდა გადატრიალებულიყო მთელი პიესის სიმძიმეები. ამიტომაა რომ იგი იღებს მხოლოდ შემთხვევათა ნიჭიერ გადაკავშირების ხასიათს. სწორედ ამიტომ მას ვერც ერთი თეატრალი ვერ მიუდგება ისე როგორც მხატვრულ პიესას.

ის რაც არ არის წვით და სასტიკი განცდით ნაწერი თავის დღეში არ არის ხელოვნება. ამასთან ერთად სცენას უყვარს ტიპი განზოგადებული ვიდრე კუთხური. ტიპი საერთო იდეებით.

„დეზერტირკა“-ში ეს არაა და ამიტომ იგი რჩება დროულად ამოტივტივებულ, არა სცენიურ და არა მხატვრულ მოვლენად.

თეატრში თავის დღეში არ ჰქონდათ გამარჯვება დროულ პიესებს ..

«დეზერტირკა» არის ტრაფარეტი რევოლიუციის შემდეგ მომხდარ ბრძოლების და გადატრიალებების ფონზე გაშლილ რევოლიუციით აჩქროლებულ კლასების თუ პარტიების გამარჯვების თუ დამარცხების სურათი — და ამიტომ მომენტური. იგი სწორედ ის „ნაწერია“ მომენტური, უიდეიო, სცენიურ ძიებების გარეშე მდგარი, რომელიც მხატვრულმა და ხელოვანმა თეატრის მსახურებმა გამარჯვების სამოსელით შეამკეს.

ამ მხრივ ძლიერია დადგმის სისრულე. გასაოცარის სინამდვილით გაგებულია ყოველი გრიმი, გარდერობი, ბუტაფორია. თუნდაც მესამე მოქმედებიდან: ქარხნის გადამტყდარი მილიდან რომ ბოლი გამოდის, ჰქმნის პიესის მთლიან ხასიათის სიმბოლოს.

სტილი და კომპოზიცია სწორის გაგებითაა შეფარდებული დადგმის სტრუქტურასთან. ამიტომ არის დადგმა უნაკლო და ზედმიწევნით მხატვრული. სწორედ ესაა, რომ ის აპლოდისმენტი, რომელიც რაღაც გაუგებრობას ავტორისაკენ გადააქვს, უპირველეს ყოვლისა ავტორთან ერთად დამდგმელთა წრეს და მსახიობთ უნდა გავუგზავნოთ.

ბიქტორ თევზაია

# შიო არაგვისპირელი

ამ უკანასკნელ ხანაში ასეთი დიდებული გაცილება სამუდამო ბინისკენ საქართველოში არავის ღირსებია, გარდა ვანო სარაჯიშვილისა. მხოლოდ ერთი განსხვავებით. ჰარმონიულად აწყობილ ხმების მატარებელს აცილებდენ სხვა დასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ბლომად იყვნენ მისი უშუალოდ შეყვარებულნი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ხალხში აქა-იქ ქვითინი გაისმოდა, ზოგჯერ ისტერიული. ბევრი უსათუოდ განსაკუთრებული სიძლიერით განიცდიდა სარაჯიშვილის ნაზი ხმის სიტკბოებას და მათი მგრძნობიარე ნერვები ვერ ურიგდებოდა ბუნების განაჩენს, რომელმაც მოსტაცა ქვეყანას ახალგაზრდა მომღერალი.

შიოს აცილებდა მისი ქართველი მკითხველები, ცხედართან ათასობით მოგროვილი. მათ სახეზედ აშკარად ამოიკითხავდით ერთ საერთო აზრს: ვაცილებთ ადამიანს, რომელმაც პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა ქართველი ხალხის წინაშე.

ის გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზედ მე-90 წლებში. მისი კალამი პესიმისტური სურათების დახატვას შეუდგა, რადგანაც ამ ქვეყანაზედ „ყოველივე შხამია და მათი მიკარება ადამიანს უწყალოდ სწამლავს“. მარტო ეს დებულება არ შეიძლებოდა პესიმისტური განცდის საყუდარი ყოფილიყო, რადგანაც თუ „ყოველივე“, ესე იგი უმთავრესად ბუნება, ამახინჯებს ადამიანს, ადამიანთა კრებული, საზოგადოება ხომ ჯანმრთელი და სიცოცხლის მატარებელია. არც ეს სწამდა შიოს. საზოგადოება შესდგება „ყრუ“, კოჭლი, ბრმა, მახინჯი სულით, გულით და მთელი სხეულით, გამოჩერჩეტებული პიროვნებისაგან“. მათთან შედარებით უბრალო ცაცინათელა ულამაზესი და უფაქიზესი არსებაა. შემთხვევით გვახსენდება, რომ სწორედ მე-90 წლებში დადიოდა ვიღაც რუსი დეკლამატორი საქართველოს პროვინციებში და მოწაფე ბავშებს სხვადასხვა ლექსებს უკითხავდა. გვახსოვს ერთი მისი ტაეპი:

Взглянул на муху,
взглянул на себя,—
Вот эта скотина
счастливее меня!

შიოს მიერ დახატული საზოგადოება ჭაობია ათასნაირი სიბინძურით სავსე და თითქოს ეს გადაუვალი ყოფაა. „ბუზი რა არის, საცოდავი ბუზი, და ისიც დიდია ადამიანზე“! ამაში ვხედავთ ჩვენ მის პესიმისტურ განწყობილებას, თითქმის იმავე სურათს ხატავს ჩვენი აკაკი წერეთელი თავის „საბრალო ცხვარში“:

„ეს ცრუ სოფელი
მწარ სამყოფელი
ვერვის დაინდობს, არვის გაიტანს!
უდროვოდ ალხენს,
უდროვოდ აწყენს
კაცს აბურთავებს, სად არ გაიტანს?
ვის არა სძრახავს?
არვინ მინახავს,
რომ ამ სოფელზედ მადლობა ეთქვას
და ეს კი მიკვირს:
სიცოცხლე თუ სჯირს,
რათ ვერიდებით ჩვენ საფლავის ქვას?

რათ ვერიდებით ჩვენ საფლავის ქვას? ეს სიტყვები აქარწყლებს მთელ შავ სურათს იმისთვის, რომ „აწმყო თუ არ გვწყალობს მომავალი ჩვენია“. ასეც გაიგო მკითხველმა შიოს ნაწერები. ასე შეითვისა მისი ესკიზ-ეტიუდები იმ ახალგაზრდობამ, რომელიც მას გატაცებით კითხულობდა. ეს ქარიშხალის წინამორბედი დრო იყო, ყოველი იმედების აღმძვრელი, ხანა იდეალისტური გატაცების, მომავლის სამოთხედ მოჩვენების და ბრძოლის სურვილით აღტაცების.

შიო გვეუბნებოდა: ეს ქვეყანა მახინჯებით სავსეა. სული ეხუთება დამოუკიდებელ პიროვნებას, ის იწამლება, ითელება, ისრისება. აქტიურმა მკითხველებმა ერთხმად უპასუხა ჰეინეს გადაკეთებული სიტყვებით: ჩვენ მოვგლეჯთ დიდ მუხას, ცეცხლს წაუკიდებთ მის ძირს და ალის ასოებით წავაწერთ მთელ ცის სივრცეზე: ძირს დამპალი საზოგადოება, პიროვნების გამათახსირებელი. გაუმარჯოს თავისუფალ, მთლიან და ლამაზად აკონილ პიროვნებას! პესიმისტური სურათები განსაკუთრებულ ხანაში, კონტრასტის კანონების თანახმად, გადაიქცა ოპტიმისტური აღმაფრენის წარმოშობად და ამნაირად შიომ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიაში, რადგანაც ის იყო დიდი ხელოვანი და არა ხელოსანი, სოციალურად მოაზროვნე და ღრმად მგრძნობიარე.

თეატრი და ცხოვრება

1910—1926

№ 14

(370)

იანვარი

რედაქციის და კონტორის ბინა: რუსთველის პრ. № 36. ყოველგვარი მასალა და ფული უნდა გამოიგზავნოს რედ. პ. რწმ შ. იმედაშვილის სახელზე, შემდეგი მისამართით: ტფილისი რუსთველის გამზ. № 36. „თეატრი და ცხოვრება“ს რედაქცია, შ. იმედაშვილს.

მთავარი რედაქტორის ნახვა შეიძლება ხუთშაბათობით 10—2 საათ. რედ. პ მ რწმუნებულის ყოველდღე 12—3 საათ. და 4—6 საათ. ტელ. № 22-34

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

თეატრი: პოეზია: მუსიკა: მხატვრობა: ქანდაკება:

ვახტანგ კოტეტიშვილი

# ქართული თეატრი

I

ჩვენს საუკუნეში, კარგა ხანია რაც ლაპარაკობენ კრიზისების შესახებ. აქ იგულისხმება როგორც გარეგნული, ისე შინაგანი განსაცდელი თუ გასაჭირი. თითქმის მოგვბეზრდა კიდეც ამ „გარდამავალ ხანის“ შესახებ წერა და ლაპარაკი, მაგრამ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოებული მწვავე ცვლილებები ჯერ კიდევ დიდხანს შეინახავენ ამ თემის სიახლეს.

სხვა გზა არ არის შერყეულია მთელი კულტურა. ადამიანის სულში ატეხილია რაღაც განგაში. სიბრძნეს გამბედაობა ეჯიბრება. ძველი, ცხოვრებასთან შერიგებული ადამიანის ფსიხიკა გადაშენდა. საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი ელემენტი იწონება რაღაც ახალ სასწორზე, რომელიც ქანაობს და აწონის საშუალებას გვიკარგავს. ძნელი მდგომარეობაა საზოგადოდ, და ამ სიძნელეს უფრო ვგრძნობთ მაშინ, როდესაც ვეხებით კულტურის სფეროს. აქ საკუთარ სულის ქირურგიას ვახდენთ, და მწარე ტკივილებში ვცდილობთ საღი აზრის დამუშავებას, ეს ეტყობა კიდეც თანამედროვე აზროვნებას, და უფრო მეტად ხელოვნებას, სადაც ხდება იშვიათი ბრუნვა, დანაწილება, დაფანტვა, მიმართულებათა შექმნა და რღვევა; ახალ იდიალების ხარბი ძიება და საბოლოოდ ყველა ცდის საბედისწერო უნაყოფობა.

მეტად დიდი რამ აწვალებს თანამედროვე ადამიანს და ხელოვნება, როგორც მისი სულის გადამშლელი, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს იმის ჩვენებას. ამიტომ არის, რომ თანამედროვე ხელოვნება ცხოვრებისაგან თითქოს გაყრილია, და ამ ორ სტიქიათა დაშორება კი ჰქმნის იმ უსიცოცხლობას, რომელიც ამაოდ ეხვევა ათასგვარ „იზმების“ ბურუსში.

იგივე მოვლენასა ვხედავთ თანამედროვე თეატრშიც, და კერძოთ ქართულში, რომლის შესახებაც იწერება ეს წერილი.

უნდა ითქვას, რომ საზოგადოდ თეატრი, შედარებით ხელოვნების სხვა დარგებთან, უფრო კონსერვატიულია. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ თეატრი ინდივიდუალობის შემოქმედება არ არის. იგი კოლლექტიური საქმეა, და მაშასადამე უფრო ნაკლებ მოძრავი. ამას გარდა, ძნელი მოსაქნელია ის საშუალებანიც, რომელიც აქტიორს გააჩნია: „თამაში“ და მეტყველება. უნდა მეტად დიდი ზომის იყვეს აქტიორი, რომ შესძლოს სიახლის შეტანა, ხოლო ეს სიახლე კი, სხვებისთვის, შაბლონად დიდხანს რჩება.

თეატრის ასეთი ბუნება უფრო აძნელებს მის რეფორმაციას თუ მასში რევოლუციის მოხდენას. ხოლო თუ თეატრის ამ ზოგად თვისებებს მიუმატებთ კერძოდ ჩვენი თეატრის სპეციფიურ მხარეებს, აშკარა გახდება ის სიძნელე, რომელიც აღმართულია ჩვენი თეატრის განახლების წინაშე.

ამაოა იმ დებულების წინააღმდეგ ბრძოლა, რომ თეატრიც ისევე, როგორც საზოგადოდ ხელოვნება, უფარდება იმ სინამდვილეს, რომლის წიაღშიაც იგია წარმოშობილი. ერის სოციალ-პოლიტიკური და საერთო კულტურული მდგომარეობა ხელოვნებასაც განსაზღვრავს, და თავის ბეჭედს ასვამს პიროვნულ შემოქმედების ქროლვას. აქ ხდება ერთგვარი შერიგება ერისა და შემოქმედის შორის, და სადაც ეს გაერთიანება არ არის, იქ ყოველგვარი პიროვნული აჯანყება თუ ამაღლება მწარე მარცხს განიცდის. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ხელოვნება სახელით არის გამობმული ცხოვრების უკან, არამედ იმას, რომ იგი წინ არის, მაგრამ ისე კი, რომ ხელოვნებასა და ცხოვრების შორის დიდი დისტანცია არ უნდა არსებობდეს. და თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ჩვენს სინამდვილეს, უნდა ითქვას, რომ ის ექსპერიმენტები, რომელსაც ვაწარმოებთ, მეტწილად ან მოდის ზერელე გავლენაა, ან და ბრანდიზმი, რომელსაც ნიადაგი არ გააჩნია.

კერძოდ ჩვენი თეატრის შესახებ. ქრონოლოგიურად ჩვენი თეატრის ისტორია ბევრით ადრე იწყება, ვიდრე 75 წელიწადია, რომელსაც უკანონოდ ვაკანონებთ. მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ჩვენ თეატრი, როგორც წმინდა ხელოვნება, არა გვქონია. ჩვენი თეატრი იყო ეროვნული ტრიბუნა, სადაც მრავალი არაპირდაპირი გზით ხდებოდა ფარულ პროტესტების დემონსტრაცია. ამას მოითხოვდა ჩვენი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეები—რევოლუციამდე. იყო ეს თეატრი მაინც ისეთ პირობებში ჩაყენებული, რომ იგი მძლავრად განვითარებულიყო?—არა. ჩვენი თეატრი ვერ მისდევდა უცხო თეატრებს, და სწორედ ამ მიზეზით, იგი ვერ იქცა ქართველი მოწინავე საზოგადოების პირველ მოთხოვნილებად. ამას თუ დაუმატებთ იმ ეროვნულ ნიჰილიზმს, რომელსაც ჩვენში ადგილი ჰქონდა, აშკარა გახდება ჩვენი თეატრის ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზები. იბადება კითხვა: შეიძლებოდა თუ არა იმ მდგომარეობაში დარჩენა? რასაკვირველია არა. უნდა მომხდარიყო ჩვენს თეატრში რევოლუცია. მოხდა? არა. ის, რაც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა, უბრალო შეთქმულება იყო, „ბუნტი“, და არა რევოლუცია, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს თანდათანობითი მასიური მომზადება. დიდი გამოცდილება, და რაც უმთავრესია, შინაგანი გარდაქმნა. იყო ეს ფსიქოლოგიური საფუძველი? არა. რა მივიღეთ? ორი თეატრი, რომელთ შორისაც გაიყო ისედაც მცირერიცხოვანი აუდიტორია, ორი მოქიშპე, იმ დროს, როდესაც თვით თეატრი იყო ჩვენი გადასაქცევი დიდ კულტურულ კატეგორიად. ჯერ ეს უკანასკნელი უნდა მომხდარიყო, და შემდეგ ამ დანაწილების წინააღმდეგი მხოლოდ გამოთაყვანებულები თუ იქნებოდენ. და ეს საკითხი უბრალო თანმიმყოლლობისა კი არ არის, არამედ უფრო ღრმა პსიქოლოგიურ და სოციალური წყებისაა. ვიმეორებ, ამას აქვს დიდი კავშირი ჩვენს ეროვნულ კულტურასთან, რომელსაც დიდი მზრუნველობა სჭირია, ძალ-

თა ინტეგრაცია და ამის მოუხდენლად დანაწილება მხოლოდ დასუსტებას გამოიწვევს.

თორემ ვინ არ გრძნობდა, რომ ჩვენს თეატრში დაგროვილი იყო შაბლონთა მძიმე ბალლასტი, რომ მიმიკა, ინტონაცია, ჟესტი, ყველაფერი ეს მოძულებული ჰქონდა არამც თუ მაყურებელს, აქტიორსაც...

ვინ არ გრძნობდა, რომ ჩვენი დრამატურგიაც ღარიბი იყო, ულონო და ხშირად მომაბეზრებელი. მაგრამ ეს ისეთი ნაკლია, რომელსაც ერთი ბრძანებით ვერ მოვსპობთ. ამას უნდა მეთოდიური მუშაობა, შემკრებლობითი ძალა და სხ... თორემ „გაყრა“ ჩვენი ისტორიული „საუნჯეა“, რომელმაც ბევრჯელ ჩააყენა საფრთხეში მთელი ჩვენი არსებობა.

ამ განყოფის სიავე, ჩვენდა სასიამოვნოდ, მალე იქნა გათვალისწინებული, და მოხდა ცდა, რომ ძალთა ახალი ინტეგრაციით გათავებულიყო ის ცალმხრივი ნოვატორობა, რომელმაც, უნდა ითქვას, მაინც მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა: თეატრი აქცია საზოგადოებრივი და პიროვნული მოთხოვნილების დიდ საკითხად, ხოლო აქტიორი კი მოაზროვნე ადამიანად, რომელმაც იცის, რომ გათავდა მოზეიმე დაუდევრობის პერიოდი და მის მხრებზე დაეყრდნო ქართული კულტურის ერთი დიდი მხარე.

ვიქტორ თევზაია

# შიო არაგვისპირელი

ამ უკანასკნელ ხანაში ასეთი დიდებული გაცილება სამუდამო ბინისკენ საქართველოში არავის ღირსებია, გარდა ვანო სარაჯიშვილისა. მხოლოდ ერთი განსხვავებით. ჰარმონიულად აწყობილ ხმების მატარებელს აცილებდენ სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, ბლომად იყვნენ მისი უშუალოდ შეყვარებულნი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ხალხში აქა-იქ ქვითინი გაისმოდა, ზოგჯერ ისტერიული. ბევრი უსათუოდ განსაკუთრებული სიძლიერით განიცდიდა სარაჯიშვილის ნაზი ხმის სიტკბოებას და მათი მგრძნობიარე ნერვები ვერ ურიგდებოდა ბუნების განაჩენს, რომელმაც მოსტაცა ქვეყანას ახალგაზრდა მომღერალი.

შიოს აცილებდა მისი ქართველი მკითხველები, ცხედართან ათასობით მოგროვილი. მათ სახეზედ აშკარად ამოიკითხავდით ერთ საერთო აზრს: ვაცილებთ ადამიანს, რომელმაც პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა ქართველი ხალხის წინაშე.

ის გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზედ მე-90 წლებში. მისი კალამი პესიმისტური სურათების დახატვას შეუდგა, რადგანაც ამ ქვეყანაზედ „ყოველივე შხამია და მათი მიკარება ადამიანს უწყალოდ სწამლავს“. მარტო ეს დებულება არ შეიძლებოდა პესიმისტური განცდის საყუდარი ყოფილიყო, რადგანაც თუ „ყოველივე“, ესე იგი უმთავრესად ბუნება, ამახინჯებს ადამიანს, ადამიანთა კრებული, საზოგადოება ხომ ჯანმრთელი და სიცოცხლის მატარებელია. არც ეს სწამდა შიოს. საზოგადოება შესდგება „ყრუ“, კოჭლი, ბრმა, მახინჯი სულით, გულით და მთელი სხეულით, გამოჩერჩეტებული პიროვნებისაგან“. მათთან შედარებით უბრალო ციცინათელა ულამაზესი და უფაქიზესი არსებაა. შემთხვევით გვახსენდება, რომ სწორედ მე-90 წლებში დადიოდა ვიღაც რუსი დეკლამატორი საქართველოს პროვინციებში და მოწაფე ბავშვებს სხვადასხვა ლექსებს უკითხავდა. გვახსოვს ერთი მისი ტაეპი:

I глянул на муху, –
взглянул на себя,
Рот эта скотина
счастливее меня!

შიოს მიერ დახატული საზოგადოება ჭაობია ათასნაირი სიბინძურით სავსე და თითქოს ეს გადუვალი ყოფაა. „ბუზი რა არის, საცოდავი ბუზი და ისიც დიდია ადამიანზე“! ამაში ვხედავთ ჩვენ მის პესიმისტურ განწყობილებას. თითქმის იმავე სურათს ხატავს ჩვენი აკაკი წერეთელი თავის „საბრალო ცხვარში“:

„ეს ცრუ სოფელი
მწარ სამყოფელი
ვერვის დაინდობს, არვის გაიტანს!
უდროვოდ ალხენს,
უდროვოდ აწყენს
კაცს, აბურთავებს, სად არ გაიტანს?
ვის არა სძრახავს?
არვინ მინახავს,
რომ ამ სოფელზედ მადლობა ეთქვას
და ეს კი მიკვირს:
სიცოცხლე თუ სჭირს,
რათ ვერიდებით ჩვენ საფლავის ქვას?

რათ ვერიდებით ჩვენ საფლავის ქვას? ეს სიტყვები აქარწყლებს მთელ შავ სურათს იმისთვის, რომ „აწმყო თუ არ გვწყალობს მომავალი ჩვენია“. ასეც გაიგო მკითხველმა შიოს ნაწერები. ასე შეითვისა მისი ესკიზ-ეტიუდები იმ ახალგაზრდობამ, რომელიც მას გატაცებით კითხულობდა. ეს ქარიშხალის წინამორბედი დრო იყო, ყოველი იმედების აღმძვრელი, ხანა იდეალისტური გატაცების, მომავლის სამოთხედ მოჩვენების და ბრძოლის სურვილით აღტაცეაის.

შიო გვეუბნებოდა: ეს ქვეყანა მახინჯებით სავსეა. სული ეხუთება დამოუკიდებელ პიროვნებას, ის იწამლება, ითელება, ისრისება. აქტიურმა მკითხველებმა ერთხმად უპასუხა ჰეინეს გადაკეთებული სიტყვებით: ჩვენ მოვგლეჯთ დიდ მუხას, ცეცხლს წაუკიდებთ მის ძირს და ალის ასოებით წავაწერთ მთელ ცის სივრცეზე: ძირს დამპალი საზოგადოება, პიროვნების გამათახსირებელი. გაუმარჯოს თავისუფალ, მთლიან და ლამაზად აკონილ პიროვნებას! პესიმისტური სურათები განსაკუთრებულ ხანაში, კონტრასტის კანონების თანახმად, გადაიქცა ოპტიმისტური აღმაფრენის წარმომშობად და ამნაირად შიომ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიაში, რადგანაც ის იყო დიდი ხელოვანი და არა ხელოსანი, სოციალურად მოაზროვნე და ღრმად მგრძნობიარე.

ვარლამ რუხაძე

## შ. არაგვისპირელის ხსოვნას

ეჰ. დღეს ეს წელი მოვიდა მარცხით
და კვლავ აგვავსო ჭირით თავამდე;
იტირეთ ყველამ მარჯვნით და მარცხნით:
აღარ გვყავს შიო, სულის თავადი!

ვინ შეიჭრება ეხლა ჩვენ სულში
და გადმოგვიშლის მის ბნელ კუნჭულებს?!
ვინ ჩაგვახედებს ცხოვრების გულში
და დაგვანახვებს უცნობ კუნძულებს?!

„გაბზარულ გულის“ ზღაპარს ურთულესს
ვინ მოგვიყვება სიტყვით ფერადით!?
ვინ დაგვიხატავს კლდეებს, უფსკრულებს...
და განცდის კახურს გვასმევს ხელადით?!

აღარ გვყავს შიო, ქოჩორა ზანგი,
რჩეულთა შორის—კაცი რჩეული!!
ულამაზესი გადატყდა ჩანგი
და გაწყდა სიმი, ნაზად რხეული!

როდიონ ქორქია

# უმუშავარი

— ბედნიერი ხარ, სოფიკო, ბედნიერი! ახლა სამსახურის შოვნა უფრო ძნელია ვიდრე მარიხზე აფრენა.—ეუბნებოდა სოფიკოს მისი მეგობარი ელენე.

— მართალი ხარ, ელენე. ისე გამიმწარდა სიცოცხლე ამ ოთხი თვის განმავლობაში, რომ დაბადება ათასჯერ დამიწყევლია,—მიუგო სოფიკომ.

— ყველაფერი კარგია, რაც კარგად თავდება,—წამოიძახა ელენემ.

— ნეტარ არიან მორწმუნენი,—ჩაილაპარაკა სოფიკომ და ფანჯრისაკენ მიიბრუნა პირი.

სალამო იყო: ქუჩიდან ელექტრონის შორი ნათურის სინათლე მორცხვი ქალივით შემოდიოდა ოთახში. ფანჯრის წინ, ხის ფოთლებში, ქარი უცნაურს სიმღერას მღეროდა. ხან ტკბილი იყო ეს სიმღერა, როგორც დედის ამბორი, ხან სევდიანი, როგორც უკანასკნელი კოცნა საყვარელი ქალისა. მრავალნაირი ლანდები და ჩრდილები ისახებოდენ კედელზე და რაფაზე ხის ტოტებიდან და ათასნაირი ფიქრები ტრიალებდენ სოფიკოს თავში. ხშირად ქარი ელექტრონის ნათურას მძლავრად დააქანებდა და მაშინ უცნაურს ცეკვას გამართავდენ ლანდები სოფიკოს ოთახში. ოთახში ნახევრად ბნელოდა.

ელენე ვერ მიხვდა სოფიკოს სიტყვებს.

— სოფიკო, თითქოს მოწყენილი ხარ, გენაცვა, რა დაგმართია? ნეტავი სამსახურს ვიშოვიდე თორემ ისე გავმხიარულდები რომ... ისეთ სალამოს გავმართავ, რომ... არა! იცი, მე ასეთი აღთქმა დავდე: სამსახურში თუ ჩავდექი, პირველი თვის ჯამაგირის ნახევარი ობლებს დაურიგო, მეორე ნახევარი კი უმუშავართა ფონდში შევიტანო. ეჰ, მე ვინ მომცემს სამსახურს. სადაც კი შევალ გასასყიდი ცხენივით მსინჯავენ. ამხედ-დამხედავენ, ჯერ ფეხებზე შეაჩერებენ თვალებს, მერე ზევით, კიდევ ზევით. გულმკერდზე ხომ სულ შემოაღამდებათ მათ უსირცხვილო თვალებს. ხოლო როცა სახეზე დამაკვირდებიან—ცივათ მეტყვიან: —„უკაცრავად, ამხანაგო, ორი დღით ადრე რომ მოსულიყავით, გვქონდა ადგილიო. გუშინ დაიკავესო“... იცი, სოფიკო, ხშირად მიფიქრია—ლამაზი სახე რომ მქონდეს ადგილი მექნებოდა მეთქი. შენ ლამაზი ხარ, სოფიკო, შენ ცხოვრების ლატარეაში უტყუარი მომგებიანი ბილეთი გაქვს. ეს ბილეთი არ წააგებსიცოდე.

სოფიკო ელდა ნაკრავივით მოტრიალდა.

— რაო, რა სთქვი?

— ლამაზი ხარ მეთქი, სოფიკო, ლამაზი. მე რვა თვეა უმუშავარი ვარ, შენ ოთხი. მაშასადამე სტაჟი ორჯელ მეტი მაქვს ვიდრე შენ. და შენ მაინც მაჯობე. რით? პროტექცია შენზე მეტი მაქვს. ნაცნობობა არა ნაკლები. მომგებიანმა ბილეთმა გიშველა მეგობარო: ის უტყუარი მეგობარია...

— შენ გავიწყდება ადამიანის კიდევ ერთი მეგობარი, უპასუხა სოფიკომ,—ბრმა შემთხვევა.

— რომელმაც ჩემთვის რვა თვის განმავლობაში არ გაახილა თვალი.

— სწორედ იმიტომაა ბრმა,—მოუჭრა სოფიკომ.

— ოღონდაც, ოღონდაც... ეხ, სოფიკო კარგია მახარობელის სიტყვები „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“. ნახვამდის.

— დარჩი, რათ მიდიხარ!

— არა, წავალ,—უპასუხა ელენემ,—ადამიანებს მანამდე ესმით ერთმანეთისა, სანამ ერთნაირ მდგომარეობაში არიან.

— არა გრცხვენია ელიკო!—უთხრა სოფიკომ—განა დავიმსახურე ასეთი გულცივობა და საყვედური.

— არა, გენაცვალე, არა! მაგრამ გული მტკივა, რატომ ვარ ასეთი უბედური. არ მინდა ჩემი სევდით გაგიფუჭო ტკბილი დასვენება. შენც ბევრი ეწვალე, ბევრი... დაისვენე. შენ დაიმსახურე დასვენება.

და ელენე წავიდა.

II

მართლაც ბევრი ეწვალა სოფიკო. მთელი დღეებით უჭმელი იყო. ხშირად უძილო ღამეებს ათენებდა, დასუსტდა, არაქათი გამოელია. სახე დაუპატარ ავდა დათვალები გაუგანიერდა. ეუბნეოდენ,—„სოფიკო, გახდი მაგრამ გიხდებაო“. ვინ იცოდა, თუ რაოდენი ტანჯვა და ცრემლი იმალებოდა სოფიკოს გამხდარ სახეში და დიდრონ თვალებში. მხოლოდ ერთად-ერთმა ბალიშმა თუ უცოდა ეს...

სოფიკო დაწვა გულაღმა და ფიქრებს მიეცა...

— რა სთქვა ელენემ?—შენ ლამაზი ხარ! ცხოვრების ლატარეაში უტყუარი მომგებიანი ბილეთი გაქვსო. ხა, ხა, ხა, ხა... მომგებიანი ბილეთი. მოვიგე? რა მოვიგე? ეკითხებოდა თავის თავს სოფიკო.

— ჰო მოვიგე, ადგილი მოვიგე, მაგრამ რა ფასით? უ-უ-უ... მე საზიზღარო.—და სოფიკო სიბნელეში შეკუმშული მუშტით ვილაცას დაემუქრა. დაემუქრა და ცრემლი წასქდა.

*1 წარსულიდან.

## ქართული თეატრის წარსულიდან

„თეატრი და ცხოვრება“-ს რედ. მიერ შეგროვილ „ქართ. თეატრის ისტორიის მასალები“-დან.



1894 წ. „და-ძმა“ ვ. გუნიასი.

(მომენტი: გორკილთ: მსხვრევა საპატიმროდან გასვლის წინ.)

ბაბო ავალიშვილი—მარინე, ლადო მესხიშვილი—გაიოზი (ერთმანეთს გადახვეულნი), ვანო მჭედლიშვილი—გიორგი, სანდრო თამაზიშვილი, ვიქ. გამყრელიძე, ა. შათირიშვილი,—ტყვე და სხვ.

სოფიკოს თვალწინ წარმოუდგა ერთ დაწესებულების უფროსი, მსუქანი, თავმოპარსული, მოკაუჭებული ცხვირით, შავი კბილებით და წითელი პორტფელით. მაღალი და უშნო, ბანლიანი ხელებით და ძვირფასი თვლიანი ბეჭდით თითზე, პატარა თვალებით და დიდი, მშიერი მგლის ინსტინქტით და ნდომიან თვალებით.

და მოაგონდა სოფიკოს:

დიდი რიხით მოადგა ავტომობილი საპართველოს მეკარემ მდაბლად დაუკრა თავი უფროსს. უფროსი ფინჯის ნაბიჯით ავიდა მაღალსა და დაუსრულებელ კიბეზე. სოფიკო თან გაყვა. ფეხებს ძლივს მიათრევდენ ორივე, უფროსი სიმსუქნისგან, სოფიკო სიმშილისაგან. ორთავეს დინჯათ მიქონდათ თავი და ადიოდენ კიბეზე მხრებ დაწეულნი: უფროსის მხრები მაღალი მდგომარეობით და ძლევამოსილობით იყო დატვირთული, სოფიკოს მხრები ტანჯვითა და უძილო ღამეებით.

სოფიკომ გადასწყვიტა რათაც არ უნდა დასჯდომოდა დღეს გადაწყვეტილი პასუხი მიეღო. გადასწყვიტა და შეყვა კაბინეტში. თავიც არ დაუკრა, თითქოს დაავიწყდა ზრდილობა. კარების ბოძს მიეყუდა, თვალები დაბლა დაუშვა, მხრებიც ძალზედ ძირს დასწია და უსიტყვოდ შეაჩერდა მსუქანს პორტფელოსანს თვალებში.

— რა გნებავთ? ჰკითხა უფროსმა.

— ალაგი—ძლივს წაილუღლუღა სოფიკომ.

— თქვენ უკვე მესამედ მოდიხართ—უთხრა თავჯდომარემ.

— არა, აქ მეშვიდეთ, კიბეზე კი ხუთჯერ. მე ოთხი დღეა არა მიჭამია რა.

— არ არის ადგილი,—ცივად, უგულოდ მოისმა პასუხი.

რა საშინელი სამი სიტყვაა... მან, ვინც ეს სამი სიტყვა გამოსჭედა, ცივი, უსულო რკინიდან, არც კი იცის მათი ძალა.

რაო? რა სთქვა უფროსმა? „არ არის ადგილი“... მერე რატომ? რა დააშავა? ისა, რომ შია? ისა, რომ ახალგაზრდაა და სიცოცხლე სწყურია?

— არ არის ადგილი—გაიმეორა უფროსმა.

მერე ვინაა დამნაშავე? ადგილები დაკავებულია, თავის ჯიბიდან ხომ არ მისცემს სოფიკოს ფულებს. ხომ ვერ შესთხზავს თანამდებობას მისთვის. დაწესებულება საკუთარი ოჯახი ხომ არაა, როგორც მოისურვო ისე გაჰაგებდეთა მას. ინტელიგენტი ქალია და უნდა მიხვდეს, ყველას თავისი პასუხისმგებლობა აწევს კისერზე, ყოველი კაპეიკის დარაჯი უნდა იყოს სამსახურში პატიოსანი მოქალაქე. უფროსმა რა ჰქნას, ძალიანაც უნდა სოფიკო მოაწყოს, მაგრამ ადგილი არ არის. არ არის ადგილი, გაიგოს ეს ამხანაგმა... გაიგოს...

უფროსი შეჩერდა სოფიკოს წინ. უცებ წელში გასწორდა და თვალები სოფიკოს გულ-მკერდს შეაჩერა. შემდეგ აზომ-გაზომა. ასწონ-დასწონა, კარგად გასინჯა. მერე გაუწითლდა ლოყები და ნესტოებმა ბერვა დაუწყეს. საყელო გაიხსნა, გაბრუნდა, მაგიდასთან მივიდა, ელსმენი ჩამოიღო და მაგიდაზე დასდო, კარებთან მივიდა, ცოტა კიდევ შეჩერდა სოფიკოს წინ და შემდეგ ხელოვნური თავაზიანობით უთხრა:

— მე ისე ვარ დატვირთული საქმეებით, სულ დამავიწყდა თქვენ რომ ფეხზე დგეხართ. დაბრძანდით.

ათრთოლებული ხელები მოკიდა და სკამამდე მიიყვანა. მერე მობრუნდა და კარები დახურა. სოფიკოს მოესმა, როგორ გადმობრუნდა ორჯერ გასაღები.

— ყოველი საქმე მსხვერპლს მოითხოვს,—ესმის სოფიკოს,—დათმობა თუ იქნება ორთავ მხრიდან უნდა იყოს. დე, რაც უნდა მომივიდეს, მოგცემთ ადგილს, მხოლოდ...

— მხოლოდ,—და სოფიკო შეაჩერდა თვალებში...

რაღაც უცნაური ტკივილი იგრძნო სოფიკომ: თითქოს მახვილი გაუყარეს ტანშიო. შემდეგ ტკივილი მოულოდნელი და დაუპატიჟებელი, სიამოვნებად ეჩვენა. შემდეგ ესეც დაიკარგა და ბურუსმა მოიცვა თავმჯდომარეც და ისიც, რაც დაკარგა სოფიკომ დაუბრუნებელ გზაზე.

## „დ ე მ ო ნ ი“

(ოპერა რუბინშტეინი)



**სანდრო ინაშვილი**

დემონის როლში

**(ტფ. სახელმწიფო ოპერა)**

რამდენი სქელ კანიანი წიგნი დაწერილა იმაზე, რაც მოხდა და სოფიკო მხოლოდ მაშინ მიხვდა, რაც მოხდა, როდესაც მოესმა:

— ჩაიცვით, ჩქარა ჩაიცვით. რათ უნდა ასეთი გრძელი ზონარი ამას?

რამდენიმე წუთის შემდეგ უფროსი ეუბნებოდა საქმეთა მართველს: ჩარიცხეთ ეს ამხანაგი სამსახურში: კარგი მომუშავეა. თქვენი სახელი? —მოუბრუნდა ის სოფიკოს.

III

და მოეჩვენა სოფიკოს: ბნელი ოთახის კუთხიდან მსუქანი, თავ-მოპარსული უფროსი, მოკაუჭებული ცხვირით, შავი კბილებით და წითელი პორტფელით. მაღალი და უშნო, ბანლიანი ხელებით და ძვირფასი თვლიანი ბეჭდით თითზე; პატარა თვალებით და მძლავრი, მშიერი მგლის ინსტიქტით და ნდომით თვალებში. ნელა მოუახლოვდა სოფიკოს ლოგინს და ჰკითხა:

— თქვენი სახელი?

სდუმდა სოფიკო. მთელი სხეულით ცახცახებდა. იწვოდა ტანი და იგრიხებოდა საწოლზე წელ-გაწყვეტილი გველივით. თითები ჩაებღაუჭენ ბალიშს, კბილები თითებს. დამწკრივდენ და ლოგინის წინ გაჩერდენ შორნი აჩრდილნი: ბავშობაში მიცვალებული მამა, ომში დაღუპული ძმა, მოხუცი დედა შორს სოფელში გათხოვილ დასთან და რუსთაველის გამზირზე ავტომობილის მიერ გაჭყლეტილი ბავში. ყველანი გაჩერდენ ლოგინის წინ. ბავში სისხლიანი იყო, ძლივს სუნთქავდა, შეჰყურებდა თვალებში სოფიკოს და თითქოს ეუბნებოდა:

— ჩვენ უპატრონონი ვიყავით და ორნივე გაგვჭყლიტეს. მე ახლა სამარეში ვგდივარ, შენ კი სამარეზე. დაიკო, ჩემო დაიკო, შენი სახელი?..

მერე იმ აჩრდილებს ელენე მიემატა. დაცინვით და ოდნავ მალული გესლით ამბობდა:

— შენ ლამაზი ხარ, სოფიკო! შენ ცხოვრების ლატარეაში უტყუარი მომგებიანი ბილეთი გაქვს. ეს ბილეთი არ წააგებს იცოდე...

ოთახში ისევ ბნელოდა. ფანჯრის წინ კი ხის ტოტებში ქარი სევდიან სიმღერას მღეროდა. ქუჩიდან ელექტრონის შორი ნათურის სინათლე დარცხვენილი ქალივით შემოდიოდა ოთახში და ლოგინზე განართხულ ქალის დაობლებულ ფიქრებს ესალბუნებოდა.

თამარ გოგოლაშვილი

# შექსპირის განთავისუფლება

ბავშობიდან თან დაყოლილი გვაქვს ყველას შექსპირის პიესებით აღფრთოვანება. რამდენი უანგარო ცრემლები მოუგვრია ჩვენთვის „მეფე ლირს“, „ოტელოს“, „ჰამლეტს“, „ვენეციელ ვაჭარს“... ეს აღფრთოვანება დღემდის გვაქვს შერჩენილი და ჩვენ სიხარულს ვეძლევით, როცა ახალ სეზონის რეპერტუარში შექსპირსაც შევხვდებით. დროთა ვითარებამ, ათას ნაირმა პოლიტიკურმა და სოციალურმა გარდაქმნამ ვერ შეარყია ეს ინტერესი წმინდა და ღრმა ხელოვნებისადმი და შექსპირი არც ერთ ქვეყნის სცენაზე დაძველებული არ არის. წინააღმდეგ, იგი იძლევა წყაროს ახალ ძიებათა და მაღალ მიღწევათათვის. არც ერთ ავტორს არ მოუცია იმდენი საშუალება და შეძლება რეჟისორისათვის, რომ მას თვისი ნიჭი და ძიება გამოეჩინა, რამდენიც შექსპირმა მისცა.

და რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო იშლება ახალი აზრები შექსპირისა, მოჰქუხს ახალ წყაროთა სათავეები, რაც წინათ ჩვენთვის დაფარული და გაუგებარი იყო. ჩვენს აღფრთოვანებას უფრო სადა ხასიათი ჰქონდა: გვიტაცებდა მდიდარი შინაარსი. ფაბულა ნახულისა, უცნაური თავგადასავალი ამ გმირთა, მაგრამ ეს იყო ჩვენგან „ყრმული“ გაგება მარტო გარეგნულ სანახაობისა; ისე როგორც პირველ წაკითხვის შემდეგ „ვეფხის ტყაოსანი“... ჩვენ აქ გვიტაცებდა ლამაზი და რაინდული თავგადასავალი ტარიელ-ავთანდილისა, მაგრამ ჩვენ ვიზრდებოდით, ვმწიფდებოდით და ამ არაკის იქეთ ღრმა პრობლემებს ვხედავდით, ტიპების და ეპოქის დახასიათებაში ვერკვეოდით და სულ ბოლოს თვითეულ ფრაზაში ღრმა ფილოსოფიურ აზრებსაც ვპოულობდით. და მარტო ამის შემდეგ ხდებოდა გასაგები — რად გაალმერთა ქართველმა ერმა რუსთაველი, რატომ იყო ის გენიოსი?

იგივე შეიძლება ითქვას შექსპირზეც და, რასაკვირველია, უფრო მტკიცედაც. ჩვენც რამდენიმე საფეხურები გავიარეთ შექსპირის გაგებაში: ფაბულიდან ჩვენ თანდათან ტიპებზე გადავედით და ეხლა თვითეულ ფრაზის აზრსაც ვარკვევთ და მათ სიღრმეს და მშვენიერებას აღტაცებაში მოვყავართ. კადნიერებიდან შორს ვარ, რომ შექსპირის მნიშვნელობა ვისმეს განვუმარტო... მე მინდა მარტო ჩემი პირადი განცდა გაგაცნოთ, თუ როგორ იზრდებოდა ის ჩემს თვალში და რა ბუმბერაზათ იქცა დღეს. შეიძლება ბევრს ენათესაოს კიდეც ეს ჩემი ბურუსიდან გამოსვლა. სულ პირველად ჩემს ყურადღებას იპყრობდენ მისტიური და მდიდარი დეკორაციები, უცნაური, ძველი და ლამაზი კოსტიუმები, მდიდრული მორთულობა, გრიმები... ყველა ამას უცნობ ქვეყანაში გადავყავდი, ზღაპრის მომხიბლაობაში. მაშინაც კი, როცა თვითონ მითამაშია ამ პიესებში... ამას ზედ ერთოდა მდიდარი და ათასნაირად დახლართული არაკი, ფაბულა. ეს კმაროდა, რომ შექსპირის უკვდავება სავსებით განმეცადა. მაგრამ დრო გავიდა და მეც უფრო ღრმად შევედი ამ ძველ განძეულობის წიაღში და იქ ათასი ახალი ნაკადი ჰპოვა ჩემმა გონებამ.

მე ვნახე ჩემთვის უცნობი შექსპირი, რომელიც ერთბაშად გაიზარდა ჩემს თვალში და ყველაფერი დაჰფარა, სწორედ ისე, როგორც კინოში — როცა შორეული სურათი თქვენთან ახლო და ახლო მოდის, იზრდება და ყოველ წვრიმალს გაჩვენებთ, რაც შორიდან შეუმჩნეველი ხდებოდა. მე ვნახე „სამხატვრო თეატრის“ — „ჰამლეტი“. ვნახე კაჩალოვის მომხიბლავი თამაში და „ჰამლეტი“ პირველად მომეჩვენა ადამიანად, ახლობელ ადამიანად, რომელსაც მე თანავუგრძნობდი და რომელიც არა მარტო მაკვირვებდა, არამედ გულწრფელად მიყვარდა. ამ დადგმაში არ იყო ის ძველი უცნაური და უცნობი დეკორაციები. ყველაფერი განმარტივებული და უაღრესად გასადავებული: შავ სადა ფონზე მოსჩანდა მთელი ტიპების გალერეია და ესენი საკმაო სისადით იყვნენ ჩაცმულნი, არც იმდენად უცნაური იყო ეს გრიმები, რომ მომქმედნი იმ ქვეყნიურ არსებად მიგვეღო. რეალიზმი გამოსჭვივოდა მათ მიხვრა-მოხვრაში და არც მონოლოგები იყვნენ ცრუ პათოსით გადმოცემულნი. თითქოს გაუგებრობის ფარდა აეხსნა ყველაფერს და ჰამლეტიც სადად და ახლოს მოგვითხრობდა მის სულიერ ტრაგედიაზე. ამის შემდეგ კიდევ ერთი ნაბიჯიც გადავდგი, როცა ჰამბურგის სახელმწ… თეატრში „ჰამლეტი“ მოვისმინე. აქ დეკორაციები კიდე… უფრო განმარტივებული იყო და ჰამლეტის თამაშიც უფრო… და უფრო გასადავებული. ამავე დროს პირველად ვნახე… სრული დადგმა ჰამლეტისა თვისი შესანიშნავის ეპილოგით. არავითარი პათოსი და ძველებური ინტონაცია ა… არ ყოფილა. ჰამლეტი უფრო დღეის ევროპიელს ჰყავდა — ნერვიულ ინტელიგენტს, რომელიც ათასნაირ წინააღმდეგობაში იხლართება; და მით უფრო ახლობელი და გასაგები გახდა იგი მაყურებლისათვის. მისი ყოველი ფრაზა… კითხვა ჩვენთვის უცნაური აღარ ყოფილა და შექსპირის… სიღრმე და ფილოსოფია, რომელიც ასე სადათ გადმოგვეცა, ჩვენთვის მისაწდომი გახდა; რეჟისორთა „ძიებამ…

## ქანდაკობა



**რესპ. სახ. მსაახიობი მაკო საფ.-აბაშიძისა**

ქანდაკება ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს შეკვ. შესრულებული ახ. მოქანდაკის ლადო კვანტალიანის მიერ.

შექსპირს მისტიურობის ფარდა ახადა, ცხოველი სული ჩაჰბერა და მასთან დაგვაახლოვა. და როცა ამის შემდეგ შექსპირის უმშვენიერესი ქანდაკება ვნახე ქ. ვაიმარის პარკში, ძეგლი რომელიც შორს, შორს გასცქერის სივრცეს და იქ სასაცილოს და ტრაღიკულს ერთად ხედავს, როცა ამ ძეგლს მდუმარებით დიდ ხანს მივაჩერდი, ვიგრძენი, რომ ის პირველი იყო ადამიანთა შორის, მაგრამ მაინც ადამიანი იყო; ახლობელი, ნათესავი, რომელიც ჩვენის სულის და ზრახვების ყოველ კუთხეს ხედავდა. იგი იყო თვითონ ჰამლეტი. ტყუილად არ ამბობენ, რომ ვაიმარის ძეგლს პირველი ადგილი უჭირავს შექსპირის ყველა ძეგლებში...

ირონია, სიბრალული, სევდა... ყველაფერია აქ უხილავის ძაფებით ჩაქსოვილი. მაგრამ შექსპირის სამშობლო ქვეყანა უფრო შორს მიდის ამ ბოლოს. სამწუხაროდ, მე არ მინახავს დირექტორი ბარრი—ჯაკსონის (ინგლისში) დადგმა ჰამლეტისა. მაგრამ იდეა, რომელსაც ის მისდევს იგივეა, რაც ჩვენ ზევით დავინახეთ: შექსპირის განთავისუფლება ზედნაშენ ეფექტებიდან და მისი დღევანდლისათვის გაცოცხლება,—შექსპირი დღევანდელ სინამდვილეში. ამ დადგმაში, გაზეთების გადმოცემით, ჰამლეტი უაღრესად გასადავებულია: არავითარი დეკორაციები და არც ძველი გრიმები. ყველა მომქმედნი პირნი მორთულია ევროპის უკანასკნელ მოდის მიხედვით: კლავდიუსი ფრაკში ორდენებით, გერტრუდა საბალო კაბაში, სტუმარნი და მსახურნი, კარისკაცნი მუნდირებში და ფრაკებში—ქალები უკანასკნელ მოდის კაბებში. თვით ჰამლეტი შავს პიჯაკში და შავს გალსტუკშია მორთული, რადგან ის ღრმა მგლოვიარეა და არ უნდა ფრაკი ატაროს. მცირეოდენი მორთულობაც სცენისა თანადროულია...

აი თქვენ თითქოს თანამედროვე დრამის გაშლას უყურებთ და ყოველი ტიპი ნაცნობი და დაახლოვებულია, მაგრამ შაბლონი მაინც არ გამოდის. წინააღმდეგ შექსპირის ძლიერება სადა ხაზებით და უბრალო ფორმებში ერთბაშად ხელსახები ხდება და გასაგებია ინგლისელ მუშის გულწრფელი აღსარება რეჟისორისადმი, რომ მან თავის სიცოცხლეში პირველად ნახა და გაიგო შექსპირი; ეს ტიპები, როგორც კი ჩნდებოდენ სცენაზე, უმალ ნაცნობნი ხდებოდენ მისთვის.

აქ მოხდა შექსპირის დაახლოება მასისათვის, მისი გახალხოსნება. ცდამ ყველას აზრით შესანიშნავათ ჩაიარა და მოსალოდნელია მისი სხვა ქვეყნებშიაც გადანერგვა..

ზედნაშენიდან თანდათან განთავისუფლებული შექსპირი უფრო ახლობელი, საყვარელი და უფრო ბუმბერაზიც გახდა ყველასათვის.

ჰამბურგი.

ლადო გუდიაშვილი

# თანამედროვე მხატვრობა

თანამედროვე მხატვრობა გაჩერებულია ერთ წერტილზე. ამით მას ეძლევა საშუალება დაამუშაოს თავისი უკანასკნელი სიტყვა, რომსლსაც ეწოდება მოდერნიზმი. მოდერნიზმმა თავისი კვლევა-ძიების ხანაში შექმნა საუკეთესო სტილი, შექმნა საკუთარი მანერა და ჩაიყარა ძლიერი საძირკველი.

რატომ იყო მოდერნიზმი დღემდე მხატვრობაში სუსტი? რატომ აქცევდენ მას ნაკლებ ყურადღებას? ეს იმით აიხსნება, რომ ყოველი მხატვარი, რომელიც თავისი ძიების გზაზე განიცდიდა დამარცხებას, ვერ იპოვნიდა ვერც ერთ მიმართულებაში გამარჯვებას, ფიქრობდა—მოდერნისტული მიმართულება ხო მაინც დასაძლევია, უფრო გასაგები და მისაწვდომია. ამით აიხსნება ის, რომ მრავალმა სხვა მიმართულებამ, როგორც კუბიზმმა, ფუტურიზმმა, დადაიზმმა, კონსტრუქტივიზმა, ექსპრესიონიზმმა და სხ. ვერ შექმნეს ძლიერი და საფუძვლიანი მიმართულება თავისი საკუთარი სახით.

უნდა ითქვას, რომ უმიზეზოდ და უმნიშვნელოდ არ აღმოცენილან ეს მიმართულებები. მათ თუ ვერ შესძლეს შეექმნათ მუდმივი სახე ფორმით, ძლიერი სკოლა და კვალი დააჩნიეს ყველასათვის მისაწვდომ და საშუალო მიმართულებას, მდერნიზმს, რომელიც ამ მიმართულებათა საბოლოო წერტილია. ავიღოთ, მაგალითად, ამ ახალი მიმართულების ერთ-ერთი მთავარი ხაზი—კუბიზმი. რით იჩინა თავი კუბიზმმა და როგორ წარმოიშვა ის?

საქმე იმაშია, რომ მხატვარმა თავისი განცდების ფიქრის და აზრების გადმოცემა ვერ შესძლო თანამედროვე ცოდნით. მან ვერ გადმოგვცა საგანი ისეთის სიძლიერით, როგორც შეეფერება დღევანდელ ყოფას. უწინ კი მხატვრის მიერ გადმოცემული საგანი შეეფერებოდა უწინდელ ყოფას და მოთხოვნილებას. წინანდელი და დღევანდელი მხატვრები საგანს, ბუნებას, გარემოს უცქერიან ერთნაირად, ერთის თვალით, მაგრამ **გადმოცემა** არაა ერთი. დღევანდელი მხატვრის ფიქრი და ტვინი სულ სხვანაირად მუშაობს, მას დღევანდელი მდგომარეობა და ყოფა სულ სხვა რკალში ათავსებს და სხვა გზებისაკენ ეხახის.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ასეთმა მდგომარეობამ ერთ ქვეყანაში იჩინა თავი. ეს იმისი მაჩვენებელია, რომ ამ ქვეყნის ხელოვნება სუსტია. მხატვარი ვერ გაექცა ამ სისუსტეს, ვერ გამოიჩინა სათანადო სიძლიერე და შექმნილმა პირობებმა იგი დასძლიეს. ასეთ ატმოსფერაში მხატვარმა თავისებური ძიებით დაიწყო მუშაობა, შემოქმედება, თუმცა თანამდროვე სიხით და თანამედროვე თვალსაზრისით.

დღეს ყოველ ქვეყანას ახასიათებს ხელოვნებაში თავისებურება. განსაკუთრებით უნდა ითქვას, ეს საფრანგეთზე, კუბიზმის სამშობლოზე, მაგრამ კუბიზმი იქ ნელდება, თუმცა საფრანგეთი ისევ რჩება ხელოვნებაში საუკეთესო აზრის სამშობლოდ. კუბიზმი ჩამოდის სცენიდან და თუმცა საფრანგეთის ხელოვნება დღეს განიცდის ერთგვარ დასვენებას,—მაინც პარიზია დღეს ხელოვნების ლოტბარად მიჩნეული.

მეორე ქვეყანა, რომელიც ცდილობს გაეთანასწოროს საფრანგეთს, ან ახალი სიტყვა სთქვას ხელოვნებაში, არის გერმანია. გერმანიაში გამეფებულია ექსპრესიონიზმი.

რა მოუტანა ექსპრესიონიზმმა კაცობრიობას, ხელოვნებას და კერძოდ მხატვრობას? ექსპრესიონიზმი თანამედროვე გერმანიისათვის აუცილებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ის ეგუება დღევანდელი გერმანიის სულის კვეთებას. ექსპრესიონიზმი გადმოიცემა უკიდურესი გამომეტყველი ხაზებით, ფორმით, ფერებით და სხვა. რომ უფრო ნათელი გახდეს ეს მოვლენა, ავიღოთ სამი-ოთხი ქვეყნის წარმომადგენელი მხატვარი და შევადაროთ ერთმანეთს მათ მიერ შექმნილი იესო. იტალიელი მხატვრის იესო გადმოცემულია ტკბილი და ნაზი მიძინების ტანჯვითი გრძნობით: აქ უკვე სჩანს, რომ საზოგადოთ იტალიას ასე ჰქონდა წარმოდგენილი იესო. ამ ქვეყანამ ასე წარმოიდგინა იესოს ფორმა, სახე, ეს დამახასიათებელია იტალიელი მხატვრის, ეროვნული რაობის,—ეროვნული გრძნობის და ეროვნულ ყოფის გავლენის.

აიღეთ საფრანგეთის მხატვრის მიერ შესრულებული იგივე იესო. ცხადია, რომ ყოველი ქვეყნის ტრადიცია დამახასიათებელია ამ ქვეყნის და მისი ხალხის სულიერ ვითარებისა. საფრანგეთს იესო თავისებურად აქვს გაგებული. ეს არ არის ნაძალადევი და გამომდინარეობს ამ ერის სულიერი ვითარების, ხანის და მდგომარეობის შედეგად· აქ იესო ასეთია: ტანჯული, მაგრამ მომღიმარი გამომეტყველებით.

ავიღოთ გერმანელი მხატვრის იესო. აქ იესოს სახე გადმოცემულია მხოლოდ ტანჯული და მკვეთრი ხაზებით და მოძრაობით, ასე რომ ამ ხაზებში მოსჩანს გერსანიის

ძველი და თანამედროვე ქმნილებათა მთელი ჯამი. აქ სჩანს მეტი მკაფიობა, მეტი სიცოცხლე, ე. ი. საგნის გამომეტყველება. მე მგონია, აუცილებელი და სწორედ დამახასიათებელი იყო გერმანიისათვის ექსპრესიონიზმი, რომელმაც ნათლად გვიჩვენა დღევანდელი გერმანიის მთელი სული და ყოფა.

სხვა ქვეყანათა შორის, ძიება ღირსებულებათა შექმნისათვის, საინტერესოა რუსეთი. რუსეთს, კერძოდ, მხატვრობაში, არ შეუქმნია რაიმე ძლიერი, მაგრამ მაინც ცდეებისა და მუშაობის მხრივ დგას წინა რიგებში, ამ მხრივ რუსეთს ახასიათებს თავისი ყოფისა და სახის გადმოცემაში კონსტრუქტივიზმი. ჩემი აზრით, ეს მოვლენა აუცილებელი იყო რუსეთისათვის და ბუნებრივი. კონსტრუქტივიზმი დღევანდელმა ხანამ უკარნახა რუსეთს, რომელიც მოითხოვს დავიწყებულის, დაქსაქსულის და დანგრეულის აღდგენას.

მეოცე საუკუნეში ხელოვნების არც ერთ დარგში ახალი არა თქმულა რა და თუ რამე გვაქვს, ეს მემკვიდრეებით გადმოცემულია მე-19-ე საუკუნიდან, მეოცემ მხოლოდ ჩამოაყალიბა, განავითარა. მრავალია პერსპექტივები იმისა, თუ რა უნდა გააკეთოს მეოცე საუკუნემ.

რათა სდგას ქართული ხელოვნება ერთი და იგივე დონეზე? ეს აიხსნება იმით, რომ ხელოვნების მსახურთა რიცხვი აქ მცირეა და ეს მცირე რიცხვიც აკმაყოფილებს ამ პატარა ქვეყნის ხალხის თვალის ტკბილ სანახაობის მოთხოვნილებას და ხელოვანც ამას ემორჩილება და ეწირება. აქ საჭიროა გამბედაობის გამოჩენა და ჩვეულებრივი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დავიწყება ხელოვნებაში ახლის შექმნისათვის.

რატომ არ შეიძლება, რომ ქართულ ხელოვნებასაც ჰქონდეს ერთგვერი სახე, ერთგვარი ახალი საკუთარი მოვლენა ხელოვნებაში? რატომ ვართ ჩვენ მარტო სხვა ქვეყნების მიმართულებათა მიმდევრები? ეს აიხსნება იმით, რომ ყოველ მოვლენას უნდა თავისა მასშტაბი და აზრის ფართედ ხმარება, შეიძლება აზრი ხშირად გაქანდეს უშედეგოდ, მაგრამ კვალს მაინც დასტოვებს და შექმნის რაიმე მოვლენას. ჩვენში კი ისედაც რიცხვით

მცირე ხელოვანნი დადუმებულან და კრძალვით უვლი
თავის თავს. ასეთი მდგომარეობა ჩვენ ყოველთვის უკ
გეწევს, ხოლო ჩვენ რომ მეტი გამბედაობა გამოვიჩინო
ძიებასა და შემოქმედებაში, საერთაშორისო ხელოვნებაშ
საკუთარი ადგილი გვექნება.

დღევანდელი ქართული მხატვრობა დიდს სისუსტე
განიცდის, ამისი მიზეზი პირობებია, ე. ი. წარსული
რომელიც არ გვაძლევდა საშუალებას შემოქმედებით
მუშაობისას. ახალი სიტყვის თქმისას. მიზეზი ჩვენ
მხატვრობის ჩამორჩენისა ისიცაა, რომ ჩვენი ახალგაზრდ
მხატვარი იზრდება არა ბუნებრივად, არამედ უკვე შექმ
ნილ სურათის ფოტოგრაფიულ სახეზე. ეს უბოჭავს მა
ხელფეხს და ულობავს გზას წინსვლისა და განვითარები
საკენ ამას ზედ ერთვის ცხოვრების დუხჭირი პირობები
შექმნილი სამხატვრო ატმოსფერა, მდიდარ გალერეა
მუზეუმთა უქონლობა და სხვა.

თანამედროვე ქართულ მხატვრობას, ჩემის აზრით
არა აქვს გარკვეული სახე. მაგალითად არც კი შეგვი
ძლიან მოვიყვანოთ ნიმუში ჩვენის საკუთარი სიტ
ყვისა. მიუხედავად იმის, რომ საშუალება და გზ
ვრცელია, მასალა აუარებელი. ქართულ მხატვრობა
შეუძლიან გაუთანასწორდეს ევროპის ქვეყნებსაც. ჩვე
კი თვალებ ახეეული შევყურებთ ამ მასალას დ
არ ვაფასებთ მას. შექმნილის მიბაძვა რომ გვიყ
ვარს, ვრჩებითმუდამ სხვათა მაყურებლად. დღევან
დელიმხატვრობა უკვე ამომშრალია ძირ-ფესვიანად
ევროპაში. იქ მოიქანცენ, ამოაშრეს ყველა წყაროები
საშუალებები და მასალა — და ახლა იმედით აღმოსავლე
თისაკენ იცქირებიან და აქედან ფიქრობენ მასალის შოვ
ნას ახალი სიტყვის სათქმელად.

კარგია ამას ანგარიში გაუწიოთ ჩვენ და გაბედვით
მოვკიდოთ ხელი ახალი გზებსია და თავისებური მასალი
შექმნას და დამუშავებას. კერძოდ უნდა ითქვას, რომ
ბევრი ჩვენი ახალგაზრდა, რომელიც დიდის ნიჭით არი
აღჭურვილი, მოვალეა მეტის დაკვირვებით მოეპყრას თა
ვის მუშაობას...

„დეზერტირკას“ ავტორი



დრამატურგი ნ. აზიანი

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1898 წ. მისი პიესებია: „ფული და ხარისხი“, „ინჟილერი და დოხტური“, „გაცრუებული იმედები“ და. სხ., აგრეთვე ამ ბოლო დროს დაწერილი „დეზერტირკა“, რომელიც რუსთველის თეატრში თითქმის ზედიზედ იდგმის

კაჲუს პელი

# ლილლეჲ-დან

მზეს დააგვიანდა დილით ადრე ამოსვლა და ამიტო
ლილლეჲს აღარ გაუცინია წინანდებურად.
ლილლეჲ იდგა მადონნას წინ.
ლილლეჲ სცხოვრობდა კოშკში სადაც იდგა მდუმარე
ბა და ლოცვებს კითხულობდა საღამო, მუდამ რაღა
ლილლეჲსავით წყნარი.
ლილლეჲ იდგა მადონნას წინ.
და ერთხელ როდესაც ლილლეჲს დედა შეეხვეწა და
რუნებულიყო უკან, ქალაქში, ლილლეჲმ არ იცოდა რ
იყო ხალხი და არ დაბრუნებულა ის.
— რატომ არა ხარ შენ ახალგაზრდა!..
— ლილლეჲ!!! რატომ არ იცი შენ რა არის ხალხი..
შეეკითხა ერთხელ ლილლეჲ თავის თავს, მაგრამ იგ
ხომ ლილლეჲ იყო და არ დაბრუნებულა უკან.
ლილლეჲ იდგა მადონნას წინ.
ლილლეჲ სცხოვრობდა კოშკში სადაც ის იდგა რო
გორც ქანდაკება სიჩუმეზე მტირალი და:
ლილლეჲმ არ იცოდა რა იყო ხალხი.
იგი მხოლოდ ლოცვებს უსმენდა და ზარებს რომელ
ნიც მოდიოდენ შორიდან... ქალაქიდან... სამრეკლოდან.
მზეს დააგვიანდა დილით ადრე ამოსვლა.

**არნო ონელი**

## მამაჩემი, ყანა და ხარები

გამეხარდება ნახნავებო თქვენი დანახვა,
როდესაც დილა აგიორთქლებთ დაფნების სერებს,
ხევებს მოხეთქილ სიმღერებში დავეთანახმე,
ვესროლე ფიქრი შურდულივით გაფრენილ მზერას.

ზეცა დროშების ზეიმივით შლიდა აისებს,
თეთრი მდინარე იმღეროდა ჭიანურივით;
ბერწო ყანაო! სინოყივრით გული აივსე,
რომ სოფელს მადლი მივაშველოთ ჭრიალა ურმით

ტყის ფერდობებზე ნისლებივით გავრეკავ ფარას,
მზიდან მოუშვებს სალამურებს ქარის ტირილი;
გადმოფენილი ლაჟვარდების ფარდები გფარავს
და ირგვლივ მთები ნაძვნარებით შემოპირული.

მამაჩემია თქვენი გმირი, მოხუცი მეფე,
გაგიპობთ გვერდებს და ჩაგბერავთ პერანგს ნაოფლარს;
მე კი ბუნების ტრფიალებამ აქ დამაობლა,
ვარ თქვენი მონა, ვარ პოეტი და მეოცნებე.

ნიშას და ლაბას დაუკოცნი თვინიერ თვალებს,
შევაჩვევ გაღმა სათიბებში რძიან ბალახებს;
ცისარტყელებით და ქედებით შემოვირკალე:—
ვარ ირემივით: იალალი, მალხენს, მალაღებს.

ბორიო ნელი და ტყეების მწვანე მარაო,
რამდენჯერ ფიქრი კავკასიონს ასდევნებია;
კალათით ხელში,—სადაც მამა ჩრდილში კარავობს
მოდის ასული და აბოდებს ბაგეს ვნებიანს.

მამილო, მამი! გადაბრუნდა ბედი ბელტებად,
შემოხეული დღის მთქნარება ხულებს ახველებს;
რა ვქნათ, როდესაც ნიშა, ლაბა დაგვიბერდება?
როდესაც ყანა ყინულივით დაადნობს სახნელს?

ჩვენს ახოებში ვინა ნახოს ტრაქტორის ქშენა?
ვინ გაამეფებს მთის ღრუბლებზე მაზუთის ბოლებს!
ქალაქის ქარმა ველურობა გადააშენა,
ქალაქის ქარი ამაყ ორბებს ფრენას უტოლებს.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ისევ მამაჩემს, ნიშას, ლაბას უკოცნი თვალებს
და ნახნავებში გადავდივარ ბავშურ მალაყებს;
მთაო ნაბდაო! ჩემი სული შენში ტრიალებს:—
ვარ ირემივით: იალალი, მალხენს, მალაღებს.

## „ჰ ა მ ლ ე ტ ი“

(შექსპირის ტრაგედია, თარგმ. ივ. მაჩაბლის)



ოფელია
ვერიკო ანჯაფარიძე
ტფილისის აკადემიური დრამა
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ა. ახმეტელის

## „ჭ ი რ ვ ე უ ლ ი ც ო ლ ი ს მ ო რ ჯ უ ლ ე ბ ა“

(კომ. უ. შექსპირის, თარგმანი კ. მესხის).



კატარინა ტასო აბაშიძე
პეტრუჩიო — მიხ. გელოვანი
ბაპტისტა — ვას. არაბიძე
ბიანკა — ვ. უკარელი
ლუჩენციო — გ. მელიავა
ტრანიო — გ. გორდაძე
გრემიო — ალ. ლოლუა
გორტენზიო — ვ. სიხარულიძე
გრუმიო — ნ. გვარაძე
ბიონდელო — არ. ხინთიბიძე
ვინჩენციო — ლ. ყიასაშვილი
ქურთის — შ. მჟავანაძე
მკერავი — გ. გულიაშვილი
კოკოტი — ქ. ჩილაშვილი
„ „ — ბარათაშვილი
გორტენზიოს ცოლი — ძ. ძიძავა
მზარეული — მ. ინჯია
სტუმარი — მ. ერგნელი

საქართ. პროლეტ. კულტის
„წითელი თეატრი“

დადგმა
მიხ. ჭიაურელის

დეკ. და კოსტიუმები
კ. ზდანევიჩის

გოგრონ არგარელი

## ქ ა რ ი ს  ა ფ რ ე ბ ი

მიფრიალებენ ქარის აფრები
მძაფრი ფრიალით.
უფრო და უფრო ჰქრის გააფთრებით
ქარი ფრიადი.

გაფითრებული თეთრი ფრინველი
მისდევს ამ აფრებს.
გრიგალი მძლავრი და საკვირველი
თრთოლვით გამაფრენს.

რა უცნაური ფრთები შეიბი,
ფრთები მაგარი!
ქარი შრიალებს, როგორც შლეიფი
უზარმაზარი.

ქარმა დაჰფარა მთვარის ფოთლებით
მკვდარი ფერია.
ქალწულო, ტკბილო,—ნუ შეშფოთდები!—
არაფერია!

ძვირფასო! ცივა... მიხვალ სნეულთან,
მიუალერსებ.
ჰხედავ, გრიგალიც რომ გაგრძნეულდა,—
ტირის ქალისებრ.

ქარო, რას შფოთავ დღეს გამძაფრებით?
რამ გადაგრია?
გააფთრებული ქარის აფრები
უფრო დაჰქრიან.

ქარი ჩემ ფიქრებს აფორიაქებს
მოურიდებლად.
არ ვიცი, ვინმე თუ ამ იალქნებს
მოურიგდება.

ვინ არის კართან?—ეს გრიგალია,
ან—მოგონება.
გრიგალს უნდოდა ღამით ძალიან
მზის მოგორება.

ბაღი აივსო გადამტვრეული
დაფნის რტოებით.
ჩადგა ფირალი გადარეული,
მაგრამ დროებით:

მოედო ბაღებს, გზებს, სასახლეებს,
ველებს დაჰქროლა.
კვლავ მოისურვა,—რაც ასახელებს,—
მთვარის დაქრობა.

ქარმა იშოვა დრო შესაფერი,
მიცვლის ხასიათს.
ოთახი,—მყუდრო თავშესაფარი
დღეს ძვირფასია.

ბრძოლას, ქარ იშხალს, აღფრთოვანებებს,
ჩუმი ხსენება!
ეხლა ყველაფერს მე თავს ვანებებ:
მსურს მოსვენება!

ვიცი: მარტო ხარ, მარტო სრულიად,
ამ გრძელ ღამეში.
და გულს, რომელიც ფერწასულია,
ვერ გადამიშლი!

..გააფთრებული ქარი მძვინვარებს,
თრთიან ფარდები.
და გესიზმრება, წმინდას, მძინარეს,
ჰ ა ე რ ვ ა რ დ ე ბ ი.

,,დეზერტირკა"
(ნ. აზიანის)



**თალო**
**ანტონინა აბელიშვილი**
ტფილისის აკადემიური დრამა.



**კომპოზიტორი ბიქტორ დოლიძე**
ავტორი „კოტე და ქეთო"-სი, „ლეილა"-ს და „ცისანა-"სი. დასწერა სიმფონია „ივერიადა". მისი კონცერტების გამო.

გრ. ნათაძე.

# პირიმზისაკენ

## მოქმედება მეორე *)

მოხუცი მეწისქვილე წისქვილის წინ ზის სამფეხა სკამზე ღრმად ჩაფიქრებული და ჩასცქერის წისქვილის ბორბალს. მთა ადგილია. წისქვილის გარშემო ხშირი ფიჭვნარია. ცის კიდეზე მოსჩანს თოვლიანი მთა.

**მოხუცი მეწისქვილე** (თავისთვის) წყალი აიმღვრა და აღარ იწმინდება... მიდის ტალღა და აღარ დაბრუნდება... მიაქვს ნაფოტი და აღარ დაბრუნდება... მიაქვს ჩალა-ბულა და აღარ დაბრუნდება... (პაუზა. უცებ შეწუხებული). სიტყვა დავკარგე... სიტყვა ვიცოდი... სიტყვა დავეძებ.. (სასოწარკვეთილებით) სიტყვას დავეძებ. სიტყვა დავკარგე! (პაუზა. წისქვილის ბორბალს აყრის წითელ-ყვითელ მჩვრებს და ჩაციებით ჩასცქერის. პაუზა... უცებ ფეხზე წამოდგება და მობრუნდება)

**ფერიები** მარდად შემორბიან სცენაზე. (თვითეულ მათგანს ყვავილებისა და ბალასების თითო კონა უჭირავთ ხელში. იმათ დანახვაზე მეწისქვილეს აღელვება ეტყობა)

**მეწისქვილე** (ძლიერი ხმით)
სარიდან მეფე იბრძოდა,
მიწას გაჰქონდა გრიალი;
სულ ელვა-ჭექვას ისროდა
ის გველეშაპი ტიალი.

*) იხ, „თეატრი და ცხოვრება" № 13

იოსებ იმედაშვილი

# დაწიხლულთა მეგობარი



...„მშვიდობით, საყვარელნო ადამიანნო, რა ტომისა, ნათესავისა და სარწმუნოებისაც არ უნდა იყვნეთ. მშვიდობით საყვარელო ქალაქო ტფილისო''.

**გ. სუნდუკიანი** (ანდერძიდან)

არიან ადამიანები, რომელთა საუკუნო განსასვენებელი კაცობრიობის გულია.

ერთი ასეთი ადამიანთაგანია გაბრიელ სუნდუკიანი. მე განგებ აწმყოთი ვიხსენიებ: იგი, თავისი შემოქმედების საუნჯით ჩემს მეხსიერებაში არ არის წარსული, არამედ მუდამ მოლაღანე, სურნელოვანი ყვავილი.

სურნელოვანი ყვავილი იგი ჰფშვინავს ყოველ მის ნაწარმოებში. განსაკუთრებით „პეპო“-ა ამის ცხადმყოფელი. სხვა რომ არა დაეწერა-რა, გ. სუნდუკიანი ამითიც უკვდავი დარჩებოდა, ვინაიდან ხელოვნება უკვდავია, მისი საშუალებით დაწიხლულთა მოსარჩლეობა-კი—წარუხოცელი...

გაბრიელი მუდამ მომხიბლავია, როგორც შემომქმედი მხატვარი.

კიდევ უფრო მეტად მხიბლავია სული და შინაგანი მისწრაფება, ბუნებით მოდრეკილება საყვარელი დრამატურგისა, ამ ნამდვილი კაცური კაცისა, მაღალ ზნეობიან ადამიანისა.

რა ერს ეკუთვნება?—პირველყოვლისა იგი ტფილისის მიჯნურია, მეორედ—მთელი კაცობრიობის შვილი... ვიწრო ეროვნული კარჩაკეტილობა მას არა სწამს.

რა სწამს?—მისი მრწამსი საუცხოოდ გამოიხატა ანდერძში, რომლის ნაწყვეტი ზემოთ აღმოვწერეთ. ასეთია საქმითაც.

დღევანდელის გაგებით რომ ვსთქვათ, იგი პროლეტარიატის ნამდვილი მოციქულია და კლასობრივ ბრძოლაში მუდამ დაჩაგრულის მხარის დამჭერი,—თუ, რა თქმა უნდა, პეპოს, კაკულის, კეკეს და სხ. მისთანებს პროლეტარიატის მამამთავრებად ჩავთვლით. ეს კი ასეა.

საქართველოს თეატრის ისტორია, როგორც ქართული, ისე სომხური და თათრულიც, გაბრიელს მუდამ მადლობით მოიხსენიებს, როგორც სცენის საშუალებით ტვირთმძიმეთა მახარობელს, ხოლო პეპოს, კაკულის და კეკეს შვილები და შვილისშვილები უკვდავ ძეგლს აღუმართავენ იმ კაცს, რომელიც თავის ანდერძშიაც კი, სიკვდილის მოახლოების ჟამს, 85 წ. მოხუცი, მათვე ელოლიავებოდა, როგორც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვით ერთგული მუშა.

ეს ძეგლია უსამართლოების წინააღმდეგ მუდმივი ბრძოლა, დაწიხლულთა მეგობრობა, ჭეშმარიტების მოციქულება.

შემთხვევამ მე მარგუნა მისი უკანასკნელი პიესის „სიყვარული და თავისუფლების“ თარგმნა და გაბრიელის ახლო გაცნობა. თუ რა პირობებში მოხდა ეს, როგორ მწერლობდა, რა რიგ დასტრიალებდა თავის გმირებს—ამაზე შემდეგ: მოგონებაში.

---

(ფერიები მხიარული ჟრიამულით შემოეხვევიან მოხუცს).

**ნარგ.** აი, პაპა, რამდენი ყვავილი და ბალახი მოგიტანეთ. (კონებს სათითაოდ სკამზე დააწყობენ).

**სუმბულა** აი ქვეყნისგულა. წამლად გამოგადგება, პაპა.

**ზამბახა** ეს პარკა ბალახია.

**შროშანა** მე დუდლუბა ბალახი მოვიტანე.

**იაია** ეს თიახფარუხია.

(შემოდის **მამიდა** და შემოჰყავს **იასამანა**· მოხუცი ქვაზე ჩამოჯდება, ყველაფერს ყურს უგდებს და აკვირდება, მაგრამ ისე, თითქოს ყველა ეს იმას არ ეხებაო).

**იასამ.** მე პაპას ბალბა და არჯაკელა მოუკრიფე, მხალი უნდა მოუხარშო. (მხიარულის, მაგრამ სუსტ, მიმტკნარებული ხმით. პაპას წინ დაუჩოქებს, მუხლებზე მოეხვევა და ცდილობს ხმამაღლა ლაპარაკს) იცი პაპა? იმდენი სვინტრი ვნახე გზაზედ, იმდენი, რომ კრეფას ვერ აუვალთ. ხვალ სვინტრს მოგიკრეფ, სვინტრის მხალს გაჭმევ! ხომ გიყვარს სვინტრი?

**მეწისქვ.** (თავისთვის) სიტყვა დავკარგე... სიტყვას დავეძებ... (წამოდგება. აჰკრეფს სათითაოდ ბალახების და ყვავილების კონებს და შევა წისქილში. ისმის ურმის ჭრიალი და მეურმის ხმა, რომელიც ხარებს ერეკება. ფერიები შემკრთალნი ერთმანეთს გადაჰხედავენ. ხმაურობა თანდათან ახლოვდება).

**ნარგიზა** ვიღაც მოდის, წავიდეთ, მოვერიდოთ.

**სუმბულა** იასამანაც თან წავიყვანოთ. (იასამანას) წავიდეთ ზედაველაზედ.

**ზამბახა** წავიდეთ და ღლის სინათლეს ბუჩქნარში დავემალოთ.

**ნარგიზა** ღლის სინათლეს დავემალოთ ღამურებსავით, ვიდრე ჟამი ჩვენი არ დამდგარა.

**სუმბულა** დავემალოთ, ვიდრე ჟამი ჩვენი არ დამდგარა.

**ზამბახა** ვიდრე ჟამი ჩვენი არ დამდგარა.

**შროშანა** (ჩუმად, თავისთვის) ვიდრე ჟამი ჩვენი არ დამდგარა.

**მამიდა** (რომელიც აქამდის ტყის ხმაურობას უგდებდა ყურს). წავიდეთ, შვილებო, გავარიდოთ თავი კაცის ბოროტებას. (პაუზა) ჯერ ჟამი ჩვენი არ დამდგარა.

**იაია** იასამანაც კი უნდა წამოგვყვეს.

**იასამანა** (რომელიც აქამდის ჩუმად იდგა, ფერიების ლაპარაკს ყურს უგდებდა, თითქოს რაღაცის თქმაც უნდოდა და თანაც ვერა ჰბედავდა). მე არ წამოვალ.

(ყველანი შეკრთებიან და გაკვირვებით და შეწუხებით შეჰხედავენ იასამანას).

**ნარგიზა** (იასამანას) წავიდეთ, ჩემო იასამან.

**სუმბულა** წავიდეთ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი.

(ყველანი გარს შემოეხვევიან იასამას და ალერსიანად ეხვეწებიან).

**ნარგიზა** ზღაპრებს გეტყვით.

**სუმბულა** ლექსებს გიმღერებთ.

**იაია** ცეკვით გაგართობთ.

**შროშანა** ფერხულს ჩავაბამთ.

**იასამანა** არა, აქ დავრჩები, პაპას ვერ მოვშორდები, არა დაჰმართონ რა.

(ყველანი მოეხვევიან უფრო ახლო, ხელს ჩასჭიდებენ).

**ყველანი** იასამან, წავიდეთ, გენაცვალე, თავს შემოგევლე, წავიდეთ.

(ურმის ჭრიალი და კაცის ხმა სულ ახლო ისმის. მეურმე ხარებს უყვავებს· ხეებს შუა კაცი გამოჩნდება. ფერიები დაიფანტებიან. იასამანა წისქვილის იქით ბუჩქებში მიიმალება)

ვ. ხატიაშვილი

# ახალგაზრდობა და თეატრი

(ქ. სიღნაღიდან).

დაცემის შემდეგ აღსდგა ხელოვანთა საყვარელი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. აღსდგა. გაიშალა წელში და შეხვედრისთანავე ავფურცლე მისი აჩირაღდნებული ასოები სათაურით „დაცემის შემდეგ“. სიხარულით ამოვიკითხე სტრიქონები: **„ამ შემთხვევაში იგი ემსახურება ხელოვნების სოფლად, გლეხებში და ქალაქად მუშებში გაჯატანას. მისთვის საინტერესოა სადმე საქართველოს მიყრუებულ სოფელში თეატრი დაარსდა თუ არა, ვიდრე მსოფლიო ომის შედეგები, ევროპის პოლიტიკა, ამერიკის გამოგონებანი, ახალი ომის სამზადისი და სხვა“.**

მართლაც, რომ სამსახურს დიდ გაგვიწევს ეს ჟურნალი, მაგრამ არ შემიძლიან არა ვსთქვა ორიოდე სიტყვა ახალგაზრდობის დამოკიდებულების შესახებ თეატრთან, რათქმა უნდა პროვინციებში, და ამ ჟურნალის მათზე ხელმძღვანელობის გაწევის საკითხი არ გავიხსენო.

მართალია „საინტერესოა დაარსდა თუ არა მიყრუებულ სოფელში თეატრი“, მაგრამ მგონია საინტერესო უნდა იყოს ისიც, თუ როგორ მოქმედებენ თეატრის ძალები და როგორ უყურებს მათ გლეხობა ან და პროვინციის მოსახლეობა საერთოდ.

უდავოა ის გარემოება, რომ სხვა მრავალ საკითხებთან ერთად ახალგაზრდობა დაინტერესებულია ხელოვნების საკითხითაც, უფრო დღეს გვჭირია კულტურულ ფრონტზე მუშაობა და მუშაობის შინაარსის ხარისხის აწევა. საერთოდ კი რაც პირველია ახალგაზრდა ხელოვანთა აღზრდა. არ შეიძლება ამ უკანასკნელთა აღზრდა მხოლოდ ქალაქებში, შეიძლება სოფლადაც, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა.

აბა ერთი გადავხედოთ პროვინციის ზოგიერთ პოლიტგანის დასებს, ახალგაზრდობის დრამწრეებს და ვიკითხოთ: რაში გამოიხატება მათი მუშაობა?..

ცხადია, მხოლოდ წარმოდგენების დადგმაში.

და ისიც რანაირად?..

პოლიტგანის დასებს თავი დავანებოთ, რადგან ჩემი წერილის შინაარსის საგანს ეს არ შეადგენს და გავიხსენოთ ახალგაზრდათა დრამწრეები. გაივლიან ხოლმე ორ რეპეტიციას, რის შედეგადაც იმას ვღებულობთ, რომ მათ როლები არ იციან შესაფერისად, წარმოდგენების მიმდინარეობის დროს ან ერთს ავიწყდება სიტყვა ან მეორე იცინის, მესამე კულისებში ყვირის და სხ. ამით აიხსნება ის, რომ „ლილიპუტების“ ჯამბაზობაზე სავსეა დარბაზი ხალხით, წარმოდგენების დროს კი მისი მეოთხედიც არ არის.

ეხლა საინტერესოა ვიკითხოთ: რანაირად დაეხმარნენ მსხვილი დასელები და რანაირი ფასები აქვთ ხოლმე წარმოდგენაზე შესასვლელ ბილეთებს?..

გამოირკვევა, რომ პირველზე თავი არავის აუტკივებია, მეორეზე—რა თქმა უნდა თავისუფლად შეიძლება ვსთქვათ, რომ ბილეთები ძლიერ ძვირ ფასებში იყიდება ხოლმე.

აქედან დასკვნა ასეთია: **წარმოდგენები ადგილებზე იდგმება მხოლოდ ფულის ასაღებად და არა ხალხის სულიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ეს იმ დროს, როდესაც ასეთი მოთხოვნილება მეტად დიდია.**

ზემოაღნიშნულ ფაქტს უნდა დაუმატოთ ისიც, რომ „ყველანი“ სცენაზე გამოსვლას ლამობენ. ალბათ ამითაა გამოწვეული ის სამდურავები, რომელნიც დრამწრის ხელმძღვანელებისადმია მიმართული: „რატომ მე სცენაზე არ გამოგყევარ“, „მე რა იმაზე ნაკლებად შევასრულებ ამ როლს“-ო და სხ.

ცხადია ყველას არ შეუძლია იყოს სცენის მოყვარე, მხოლოდ ისინი ვისაც აქვთ ამის ნიჭი, ვინც დაინტერესებულია ხელოვნებით და არა მარტო სცენაზე გამოსვ-

---

შემოვა მეურმე და ფრთხილად აქეთ იქით იყურება. (დაავადმყოფებული სახე აქვს, თავზე თეთრი ქულუხანა ახვევია).

**მეურმე** (აქეთ-იქით იცქირება) წ, წ,წ! აი დაგწყევლოთ უფალმა და შეგაჩვენოთ. (პაუზა) ეი, ბებერო! არ გესმის შენა? მეწისქვილევ! გამოეთრიე საფქვავი გადმოვიღოთ. (შიშით, ფეხაკრებით მიუახლოვდება წისქვილს და იცქირება შიგ. მერე ისევ უკან დაიხევს) აი, დასწყევლა ღმერთმა. რაღასაც ტუტუნებს.

**მეწისქვილეს ხმა** სიტყვა დავკარგე... სიტყვას დავეძებ...

**მეურმე** (შეკრთება, უკან დაიხევს და შორიდან შესცქერის წისქვილის კარებს). გამოდი ერთი, საფქვავის გადმოღება მიშველე.

**მეწისქვილე** (გამოვა. ცალ ხელში ბალახის კონა უჭირავს, დადგება კარში და მეტყველი თვალებით უცქერის მეურმეს. რამდენიმე ხანს სიჩუმეა).

**მეურმე** წამო მეთქი, ბებერო, არ გესმის? საფქვავის გადმოღება მიშველე. (მოხუცი უძრავად დგას). წამოდი მეთქი არ გესმის, შე სულძაღლო შენა? (წაავლებს ხელს. ბუჩქებში ფაჩუნი ისმის. მეურმე შეჩერდება და შემკრთალი იქით იცქირება. დაინახავს იასამანას და რამდენიმე ხანს გაშეშებული უცქერის. იასამანა გაუბედავად რამდენსამე ნაბიჯს წამოსდგამს წინ.

**იასამანა** მე გიშველი... (პაუზა) მე გიშველი...

**მეურმე** (თითქოს ეხლა გამოერკვიაო) აბეი, შენ სად შეგიძლიან, ბეჩა!

**იასამანა** (იმავე კილოთი) მე გიშველი...

**მეურმე** (თითქოს დარცხვენით) ხელში ჯანი აღარა მაქვს, ციებ-ცხელებამ შემაწუხა. იქ, ბარში ხალხი ჰერახებივით ყრია... იჟუჟება.

**იასამანა** პაპა წამლებს მოგცემს, წაიღე.

**მეურმე** (თვალში ისევ ბოროტი ცეცხლი გაუელვებს) წამლებს კი არა და... ვიცი, რა წამლებიც იცით. თქვენმა წამლებმა უარესი დღე დაგვაყენა. თქვენ მავნე სულები ხართ. რამდენი ხალხი დაღუპა ამ სულძაღლის წამალმა. ეშმაკს მიჰყიდეთ განა სული თქვე..

**იასამანა** ჯერ ღმერთს შეჰხედე და ისე ილაპარაკე.

**მეურმე** ვინ ღმერთს შევხედო? ახლა ღმერთით მაშინებ განა? თქვე სულ წაწყმენდილებო თქვენა! ჯერ ეშმაკებით გვაშინებდით და ახლა ღმერთით გვაშინებთ? ვიცი ამისი სიძაღლე, ვიცი!

**იასამანა** (შეწუხებული კილოთი) უმადურნი ნუ ხართ. რამდენი ავადმყოფი მოურჩენია პაპას? ვისაც ნამგლის ჭრილობა გქონდათ, თუ ნადირის, თუ გველის ნაკბენი, სულ აქ არ გამორბოდით? ახლა რამდენი ციებ-ცხელებისაგან მოურჩენია, ვინ მოსთვლის! განა დაუშურებია თქვენთვის ან პარკა ბალახი, ან დუდლუბა ბალახი?

**მეურმე** ჰმ!.. მეშველააანთ თედუა ვილამ მოკლა?

**იასამანა** თიაქარი სჭირდა და თიაქარის წამალი კი ისეთია, რომ თუ ზომურად არ დალია კაცმა, საშიშია. იმ საცოდავს კი ეგონა, რომ რასაც მეტს დავლევ ისა სჯობიაო. ვისი ბრალია?

(ისმის ტყიდან კიდევ ურმის ჭრიალი და მეურმის ხმა).

**მეურმე** ე, ე! რა გელაპარაკო! (მეწისქვილეს) წამო ერთი ჩქარა, თორემ აძაღლებულ სულს ამოგართმევ. (უხეშად წაავლებს ხელს. მეწისქვილე აქამდის მეტყველი თვალებით უცქეროდა ორივე მოლაპარაკეთ, თუმცა მონაწილეობას არ იღებდა).

(ამ დროს ჰაერში გაისმის გრიალი. სცენაზე შემოვარდება შეშინებული მეორე მეურმე).

**მეორე მეურმე** (შემორბის და თან ზევით იცქრება). ოჰ

ლით, — შესძლებენ გაამართლონ სცენის მოყვარის დანიშნულება.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდობას არა აქვს სახელმძღვანელო ხასიათის ლიტერატურა, რომ გაიცნოს რიგიანად რა არის თეატრი, როგორია მისი ცხოვრება, ვინ შეიძლება იყოს სცენის მოყვარე, როგორ წარმოიშვა იგი, როგორ უნდა ეწყობოდეს წარმოდგენები და ბოლოს როგორ უნდა ჩასწვდეს ახალგაზრდობა თეატრის და ცხოვრების საიდუმლოებას, მის შესწავლის მიზნით.

დასასრულ აღსანიშნავია იმ გარემოების გახსენება, რომ ჟურნალი უნდა წავიკითხოთ არა მარტო, ცნობისთვის არამედ **უნდა ვიყენებდეთ ცხოვრებაში, ხელმძღვანელობისთვის, ახალგაზრდობის აღსაზრდელათ.**

მაშინ შევძლებთ ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ დავაყენოთ ხალხთან, მასასთან და ახალგაზრდობის აღმზრდელად, მაშინ შევძლებთ ახალგაზრდობას თავი დავახწევინოთ სცენის ავადმყოფურ მოვლენებისაგან და მაშინ შესდგება იგი ისეთ ლიანდაგზე, რომელსაც შეიძლება უწოდოთ **გზა სალ თეატრისაკენ მიმავალი.**

იმედია ამას შეეცდება ჩვენი ჟურნალი, რომ ადგილებზე ნამდვილ ხელოვანთა კადრის შექმნას მტკიცე საფუძველი ჩაუყაროთ.

ი. ინაშვილი.

# სახით მეტყველების მეცნიერება.

**მსახიობთა და სცენის მოყვარეთათვის.**

წინა წერილში („თ. და ცხ.“ 1925 წ. № 13) გავარკვიეთ ფიზიონომიკის თეორიული მხარეები, ეხლა კი გადავალთ ამ მეცნიერების კანონების შესწავლასა და მის ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოყენებაზე.

აი რას გვასწავლის იგი:

1. როგორ უნდა ამოვიცნოთ ადამიანი მისი გარეგნობის მიხედვით? რას გვასწავლის მისი სახე, მიმიკა, მოძრაობა და სხვა?

2. რა მნიშვნელობა აქვს ფიზიონომიკის თვალსაზრისით გრძნობათა ისეთ გარეგან გამომსახველ ნიშნებს, როგორიცაა სახის, პირის, წარბის და სხვა ორგანოთა ფორმა.

3. რა სახეობის მოძრაობითა და ნიშნებით გამოისახება ადამიანის გრძნობა მაგალითად სიხარული, მწუხარება, მრისხანება და მრავალი სხ.

განვიხილოთ ჯერ უკანასკნელი, ვინაიდან ის შეადგენს ჩემი წინამდებარე მიმოხილვის უმთავრეს მიზანს.

ამისათვის პირველ რიგში გარკვეული უნდა იქნეს, თუ რა გარეგან ხილულ ნიშნებით გამოისახებიან ადამიანის სულიერი მოვლენანი, რომელნიც იწოდებიან გრძნობებად, ემოციებად, აფექტებად და სხ. ამ მიზნით უწინარეს ყოვლისა უნდა გავეცნოთ თვით გრძნობას, უნდა გავიგოთ რას წარმოადგენს ის, რა და რა სახეობის შეიძლება იყოს და როგორია მისი წარმოშობა-მიმდინარეობა ადამიანის ფსიქიურ ნაკადში? მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ამ გვარი საკითხები საერთოდ ფუჭი და უადგილოა, — პირიქით: მათ გარეშე მიუწდომელი რჩება გრძნობის ბუნება, რომელიც იმდენად რთულია, რომ თვით უდიდეს ფსიქოლოგთაც კი — ამ ადამიანის სულის მესაიდუმლეთაც დიდი ხანია დავა აქვთ მის ირგვლივ და ჯერაც არ შეთანხმებულან მასზე. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია წავიკითხოთ ვუნდტი, ბენი, გეფდინგი, ლაზურსკი და სხ. ამიტომ მე აქ არ გამოუდგები წვრილმანებს და მოვიყვან გრძნობათა წარმოშობის მხოლოდ ერთ განსაცვიფრებელ თეორიას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსახიობთათვის. მე ვგულისხმობ ჯემს და ლანგეს თეორიას, რომელსაც დღეს მედგრად იცავს მეცნიერების უმრავლესობა.

ამ თეორიის მნიშვნელობა განიზომება შით, რომ მან

---

ჰო, ჰო, ჰო! ეს წყეული ესა, რა კორიანტელი დააყენა. (პირველ მეურმეს) ტყეში ხეებმა ლაწა-ლუწი დაიწყეს, ისეთი ქარი ამოვარდა. ცაში რაღაც მოფრინავს, ბიჭო აქ დავიცადოთ, თორემ ცუდი დღე დაგვადგება. (უკან-უკან ცქერით გარბიან წისქვილში. იასამანაც მიიმალება. მეწისქვილე დგას მარტო და ცაში იყურება. ხელიდან ბალახის კონა გავარდება. თმა ქარისაგან აებურძგნება. პატარა ხანს უკან ჰაერში რაღაც გაფრინდება, მფრინველივით გადივლის).

(მოხუცი აკანკალდება, თვალები აენთება და ამბობს მგვრგვინავი, შეშფოთებული ხმით):

სარიდან მეფე იბრძოდა,
მიწას გაჰქონდა გრიალი.
სულ ელვა-ჭექვას ისროდა
ის გველეშაპი ტიალი.

(მეწისქვილე რამდენიმე ხანს გარინდებული დგას. ეტყობა საშინელი აღელვება. მერე მივა წისქვილის ბორბალთან, ჯიბიდან ამოიღებს წითელ-ყვითელ მჩვრებს და წყალში ჩაჰყრის. კაი ხანს ჩასცქერის ბორბალს. მერე უცებ ტყვია ნაკრავივით გამობრუნდება).

**მეწისქვილე** დაიბადა... დაიბადა... შუბლ-სისხლიანია... დაიბადა.

(გამოცვივდებიან მეურმეები და იასამანა. მოხუცი აცახცახდება. იასამანა მას ხელს მოჰკიდებს და შეიყვანს წისქვილში).

**პირველი მეურმე** ე რა ამბებსა ვხედავთ, ბიჭო, ხიფათი კი არა იყოს რა.

**მეორე მეურმე** ავი სულებით არის სავსე აქაურობა.

**პირველი** დავიჯერო ეს ღვთის სახიანი გოგოც ავი სულია.

**მეორე** აბა ეგ არის რაც არის და. მაშ ავი სული ავ სულად გეჩვენება?

**პირველი** რაში ეტყობა მერე ავსულობა?

**მეორე** რაც უფრო მაცდურია იმდენად უფრო თავს მოგაწონებს, შეგიყვარებს კიდეც, თუ დასჭირდა და, თავს რომ გაგიბრუებს, წაგიჭერს ყელში ფრჩხილებს და წაგახრჩობს. აბა იმის ფრჩხილებს დააცქერდი, ისეთი ფრჩხილები ექნება, რომ მგონი ჩვენებიანთ კატასაც არა ჰქონდეს ისეთი.

**პირველი** (თავს მოიფხანს) აი დალახვროს ღმერთმა, რა ყოფილა ე წყეული.

**მეორე** წამო, ბიჭო, ჩქარა დავაყაროთ საფქვავი, რომ საღამომდის დაიფქვას, თორემ შენი მტერი, თუ მოგვიღამდა! ცოცხალი ვერ გადაურჩებით.

**პირველი** წამო, წამო ჩქარა. (გადიან და პატარა ხანს უკან ხელიხელს ჩაკიდებული შემოაქვთ ტომარა. ამ დროს მარჯვენა მხარეს, ტყის პირში გამოჩნდება ვიღაც უცნობი. მეურმეები თვალს მოჰკრავენ მას).

**პირველი** ე ვილა არის, ეი, რა ჯურის ხალხი არ გამოდის აქა, ბიჭო.

**მეორე** (ძლივს ძლიობით იხედება მარჯვნივ და ამბობს ქშენით) ესეც, კაი სული არ უნდა იყოს. აბა შეხედე როგორ აცვია. განა ეგ ადამიანია? (შეიტანენ ტომარას).

**უცნობი (**რკინის კაცი) შემოდის სცენაზე, აქეთ-იქით იცქირება. შავი ტანისამოსი აცვია. რკინის ქუდი ჰხურავს, ხელში ფოლადის წვეტიანი შუბი უჭირავს. მეწისქვილე საჩქაროდ გამოდის წისქვილიდან. სდგას და შესცქერის უცნობს. გამოდიან მეურმეებიც მეორე ტომრის მოსატანად).

**რკინის კაცი** (მეურმეებს) ძმობილებო, სადა ვარ აქ? რა ქვეყანაა ეს ქვეყანა? (მეურმეები შეიშმუშნებიან. ერთმანეთს შეხედავენ, თითქოს ერთმანეთს ელიან ვინ მისცემს პასუხსაო).

გაბატონებულ შეხედულებისაგან ძირითად განსხვავებული შეხედულება წამოაყენა გრძნობათა ბუნებაზე.

პირველი შეხედულება ამტკიცებს, რომ ადამიანის გარეგანი მოძრაობა მაგ., თითების შეკუმშვა მუშტად, ხელების ქნევა, წარბების შეჭმუხვნა, ღიმილი და სხ. ამგვარი არის შედეგი შინაგანი გრძნობის ან შეგრძნობისა. მაგ. განრისხდა ადამიანი—მისი სხეული მყისვე იღებს მრისხანე გამოსახულებას.

გაუხარდა—მისი გარეგნობა სათანადოთ იცვლება,—იგივე ითქმის ყველა დანარჩენ გრძნობებზედაც.

შიში იწვევს—შიშის მიმიკას.

სევდა—სევდისას და ასე ბოლომდე.

თითქოს გრძნობა იყო მიზეზი გარეგანი გამოსახულებისა, მაგრამ ჯემსი, ლანგე, რიბო და მათი მიმდევრები ამტკიცებენ პირიქით, შებრუნებულად.

ისინი გვარწმუნებენ, რომ გრძნობაში კი არ უნდა ვეძებდეთ ამ გარეგან გამოსახულებათა მიზეზს, არამედ თვით ეს გამოსახულება უნდა ვაღიაროთ გრძნობის მიზეზად. ვსთქვათ ადამიანზე მოქმედობს რაიმე გარეშე გამაღიზიანებელი მიზეზი—მას ესმის საწყენი სიტყვა, იგი მყისვე იწვევს მასში სხვადასხვა პერიფერიულ მოძრაობას: მუშტის მოკუმშვას, სახის გაწითლებას, წარბების შეჭმუხვნას და სხ. ეს გარეგანი მოძრაობანი პროცესებს აღძრავენ თავის მხრივ მის ორგანიზმში შეგრძნობათა მთელ რიგს კუნთებრივს, შეხებითს და სხ., რომელთა ცნობიერებამდე მისვლის გამოც შეიქნება ის, რასაც ადამიანი უწოდებს მრისხანების გრძნობას ან ემოციას. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენ გრძნობებზედაც. ასეთ გამღიზიანებლად ითვლება ბგერა, სინათლე, რომელიმე ორგანოს დაზიანება და სხ. მსგავსი მოვლენები. ამგვარად ჯემს-ლანგეს შეხედულებით ჩვენ იმიტომ კი არ ვტირით, რომ სულიერად ვიტანჯებით—პირიქით: იმიტომ ვიტანჯებით, რომ ვტირით (ე. ი. მიზეზი ჩვენი ტანჯვისა არის ცრემლები და არა პირობები). ჩვენ იმიტომ კი არ ვიცინით და ვცეკვავთ, იმიტომ კი არ ვამჟღავნებთ სიხარულის სხვადასხვა ნიშნებს, რომ გახარებულნი ვართ, არამედ შებრუნებით, რომ ვმხიარულობთ, ვცეკვავთ, ვხტით ვიცინით, ვხტუნავთ და სხ.

ჩვენ ვიგინებით, ვბრაზობთ, კბილებს ვაკრაჭუნებთ, არა იმიტომ რომ გაჯავრებული ვართ, არამედ მიტომ ვართ გაჯავრებული, რომ ვიგინებით, მუშტებს ვკუმშავთ, ვბრაზობთ, კბილებს ვაკრაჭუნებთ და სხ. აი ასეთია თეორია, რომელიც სულ თანდათანობით იკრებს თვის ირგვლივ ახალ მიმდევრებს.

ყოველდღიური ფაქტებიც ხშირად ამ თეორიის სასარგებლოდ ლაპარაკობენ.

ყველა ზემოთქმულის შესამოწმებლად დადგეს მკითხველი სარკის წინ, მიიღოს მლოცველის პოზა და მყისვე მისი სული განეწყობა რელიგიოზურად, ან და მიიღოს მრისხანე შურისმაძიებელის პოზა და მასში უეჭველად თავს იჩენს მრისხანების მსგავსი რამ განცდა.

სახელოვანი ფილოსოფოსი კამპანელლა, რომელიც დაჯილდოვებული იყო ადამიანის სულის მოძრაობის გაგების ნიჭით, თავის ამოცანის გადასაჭრელად ხშირად მიმართავდა შემდეგ ხერხს: შეამჩნევდა თუ არა ვისმეს სახეზე რაიმე სულიერ მოვლენების აღბეჭდვას, დგებოდა სარკის წინ და იწვევდა საკუთარ სახეზე ისეთსავე გამოსახულებს. ამის შემდეგ ის აკვირდებოდა იმ გრძნობას, რომელიც თავს იჩენდა მასში და ამ გრძნობათა მიხედვით სწვდებოდა იმ ადამიანს სულის სიღრმეში, რომელსაც ჰბაძავდა იგი.

ამ გვარად ეხლა ცხადზე უცხადესია ამ მეცნიერების სარგებლობა სათეატრო ხელოვნებაში და კერძოდ მსახიობთათვის, ჯემს-ლანგეს თეორიის წყალობით მსახიობს ადვილად შეუძლია დეტალურად შეისწავლოს და ჩასწვდეს მოცემულ გმირის სულის სიღრმეში და მაყურებელთ გადაუშალოს თვალ წინ მისი ფსიქოლოგია.

რას ნიშნავს როლში შესვლა... განცდა... მოცემულ ტიპის განსახიერება?..

ეს ნიშნავს ჩვენი სულიერ განწყობილების შეფარდებას გმირის სულიერ განწყობილებასთან,

რა არის საჭირო, რომ ასეთი განწყობილება არ იყოს ყალბი და ცრუ?

აი რა: უნდა იქნეს შესწავლილი, როგორც პიესის, ისე მისი გმირის თავისებურობა და აგრეთვე მისი გარემოება და ცხოვრების პირობები თუ სად, როდის და ან რა პი-

---

**პირველი** რა ქვეყანაა რა! თუ არ იცოდი, რა ქვეყანაა, სად მოდიოდი? (თავისთვის) დაგწყევლათ ღმერთმა, ეშმაკსა და ქაჯებსავით რომ აირიენით! (უცნობს) წელანაც ვიღაც ეშმაკმა თავს გადაგვირბინა, იმისი არ იყოს, ვიღაც გადამთიელები მოდიხართ და არ იცით კი სადა და რისთვის.

**რკინის კაცი** აქედან ბარისაკენ გზა საით მიდის?

**მეორე მეურმე** აი ეგ გზა და ეგ შენ, რა ვიცი? (პირველ მეურმეს) წამო, ბიჭო, ი ტომარა გადმოვიღოთ და დავაყაროთ. (უცნობს) შენთვის არა გვცალიან.

**რკინის კაცი** პურის მოსავალი როგორი იცის აქ?

**მეორე მეურმე** (გაჯავრებით) თქვენი გადამკიდე კაი მოსავალს მოიმკის? კარზე თელა მედგა, ის მოვჭერი, იმისი ქერქი გავახმე და ნახევრად ის ჩაურიე ჩემ ფქვილს. აი ასეთი მოსავალი იცის ჩვენში, ხომ გიამა? (უცებ გულმოსული) რას ჩამაცივდი, აბეი, რა გინდა ჩვენგან?

**პირველი მეურმე** (უცნობს) ე მისამარ თავი დაგვანებე, თორემ ამ სახრეს ხედავ?

**რკინის კაცი** ისეთი პური უნდა სჭამოთ, რომ რძე გასდიოდეს. თქვენ პურს რომ კაცმა ხელი მოუჭიროს სისხლი გაუვა. აბა ამას უყურეთ (ამოიღებს ჯიბიდან პურს და ხელ მოუჭერს. პურს რძე გამოუვა. მეურმეები შიშით ცახცახობენ. გაკვირვებით შესცქერიან რკინის კაცს).

**პირველი მეურმე** (თავისთვის) აი დალახვრა ღმერთმა!

**მეორე მეურმე** (თავისთვის) წყეული სულია თუ მადლიანი, ვერა გამიგია. (რკინის კაცს, სცდილობს დაცინვის კილო მიიღოს) არა, რა ამირანივით გველაპარაკები, ვითომდა ამირანი ვარო.

(ტყე თანდათან ნისლით შეიბურება. საღამო ახლოვდება).

**რკინის კაცი** (თითქოს მეურმეების ლაპარაკი არ ესმისო, თავისას განაგრძობს) ნისლი ჩამოაწვა თქვენ ქვეყანას და სუდარასავით გარს შემოეხვია.

**მეურმეები** ნწ, ნწ, ნწ! გზას ველარ გავიგნებთ და რაღა გვეშველება.

**მეორე მეურმე** ავსულებმა აგვიბნიეს გზა და კვალი, რომ თავის ქსელში გაგვაბან.

**პირველი მეურმე** (სამჯერ აფურთხებს) ქვესკნელში ჩადით მავნე სულებო, ქვესკნელში ჩადით.

**რკინის კაცი** ამ ჯანყში მცხოვრებთ რა იციან თუ რა არის ნამდვილი მზის სინათლე!

**პირველი მეურმე** სინათლეც ვიცით და სიბნელეც. ვითომ და შენ იცი და ჩვენ არ ვიცით. შენი ჭკუის სწავლება ჩვენ არ გვესაჭიროება.

**რკინის კაცი** მთის ჰაერი არ გისუნთქავთ და მოწამლული ბარის ჰაერი თანდათან შხამავს მთელ თქვენს არსებას. თქვენი ვარდი და თქვენი ია, სურნელების მაგივრად, მოწამლულ ოშხივარს ავრცელებენ ჰაერში.

**მეორე მეურმე** რას ბოდავს? გადარეული ხომ არ არის?

**რკინის კაცი** წმინდა, მჩქეფარე, მთის ნაკადული და მის ბროლის ტალღებში განბანილი მზის სხივი. აი წამალი თქვენი ავადმყოფობისა. (ისამანა უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე ბუჩქებიდან გამოვა და წინ წამოიწევს, თვალებ გაბრწყინვებული, გატაცებით უსმენს უცნობის ლაპარაკს. მეწისქვილეს უფრო და უფრო მეტი მღელვარება ეტყობა. ბოლოს თავს ვერ შეიკავებს).

**მეწისქვილე.** სარიდან მეფე იბრძოდა,
მიწას გაჰქონდა გრიალი,
სულ ელვა-ჭექვას ისროდა,
ის გველეშაპი ტიალი.

რობებში ხდება ესა თუ ის მოქმედება გმირისა.

თუ ჩვენ ყველა ზემო თქმული დაძლეული გვექნება, მაშინ ჩვენი სულიც ჩვენდა უნებურად ჩადგება იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იყო მოცემული გმირი და სცენაზე მივიღებთ ტიპის ან გმირის განხორციელებულ სახეს.

ჯემსის მოძღვრების თანახმად, მიმიკა იწვევს ადამიანში საჭირო აფექტს, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ აძლიერებს გარეგან გამოსახულებას, რასაც საჭიროებს თამაშის მთლიანობა. და რომ ყველა ესენი ცხოვრებაში (პრაქტიკაში) გამოყენებულ იქნეს, ამისათვის საჭიროა ცოდნა ადამიანის ფსიქოლოგიისა და ფიზიონომიკისა, მათ გარეშე მსახიობი, თუ ის დიდი ნიჭის პატრონი არ არის, შორს ვერ წავა.

გამოჩენილი და სახელგანთქმული მსახიობქალი სარრა ბერნარი დიდის ინტერესით ადევნებდა ამ მხრივ მეცნიერებას თვალყურს და არც ერთი უმნიშვნელო ახალი აზრიც კი არ გამოეპარებოდა.

ეხლა გადავალთ გრძნობათა მიმიკის განხილვაზე, (რომელიც შეადგენს ჩვენი მიმოხილვის ძირითად ამოცანას) განსაკუთრებით აფექტებზე: ე. ი. ისეთს შთაგონებებზე, რომლებიც ხასიათდებიან მძაფრი, ძალუმი გავლენით. მათი სინამდვილით გადმოცემა სცენაზე არის უდიდესი სიძნელე სცენიური ხელოვნებისა. მათი სისწორით გადმოცემა—გამოსახვა მოითხოვს დიდ ცოდნასა და სიმარჯვეს, ან კიდევ ბუნებრივ ნიჭს

პიესაში მოცემულ გმირის სულიერ მოვლენების გადმოსაცემად მსახიობი იტანჯება, განიცდის, თავის პიროვნებას სთქვეფს მოცემულ გმირის პიროვნებაში და ამ გვარად იმარჯვებს, რასაც აღწევს იგი თავისი ცოდნით და დაუღალავი მუშაობით, მაგრამ საბოლოო გამარჯვებას მსახიობს ანიჭებს მხოლოდ ხერხი, **გმირების აფექტების უტყუარი გადმოცემისა.**

თუ ჩვენ გავეცნობით დიდ მსახიობთა ბიოგრაფიებს, დავრწმუნდებით, რომ თვითოეულმა მათგანმა სახელი გაითქვა უმთავრესად თამაშის პათეტიური მომენტების მოხერხებულად ჩატარების უნარით, ე. ი. გმირის აფექტების და ვნებათა სწორი გამოხატვით. აქედან ცხადია, რომ მთავარი მიზანი ყოველი გამოუცდელი მსახიობისა არის აფექტებისა და მათი გამომსახველ მოძრაობათა საფუძლიანი შესწავლა—აქედანვე გამომდინარეობს ჩემი ამოცანა—აფექტების ბუნების გათვალისწინება.

ამ გვარად ისმება საკითხი:

რა არის აფექტი?

რა სახეობისაა?

და როგორია მათი გარეგანი გამოსახულება?

აფექტი არის ისეთი ემოციონალური მდგომარეობა, რომელიც მცირე ხნით მაინც არყევს ადამიანის ფსიქოფიზიკურ ორგანიზმს და იწვევს მრავალ გამოსახულებითი მოძრაობას.

დანარჩენ გრძნობათაგან აფექტი განსხვავდება მით, რომ იგი მოულოდნელად „აფეთქებით“ იწყება (მრისხანება სანგვინიკში), შემდეგ ან ისე სწრაფად სწყდება, როგორც დაიწყო, ან და თანდათანობით სუსტდება. მეორეც: ის ყოველთვის იწვევს კუნთების მეტნაკლები სიძლიერით მოძრაობას, როგორც ორგანიზმის შიგნით, ისე მის პერიფერიებზე.—მაგ. სახის მიმიკა, ხელების ქნევა, სუნთქვისა და პულსის გახშირება ან შენელება და სხ., და რაც უფრო ძლიერია აფექტი, მით უფრო მკაფიო და შესამჩნევია მისი შესაბამი გამოსახულებითი მოძრაობა.

მესამე განსხვავება მდგომარეობს იმ ღრმა გავლენაში, რომელსაც აფექტი ახდენს ადამიანის გონებრივ პროცესებზე და მის შუალობით კი მის ზნეობრივ ქცევაზეც. აფექტით, ან ვნებით შეპყრობილ ადამიანს აღარ შეუძლია მიუდგომელი მსჯელობა, რის გამოც მისი აზრთა მსვლელობა მოკლებულია, როგორც ლოღიკურ დალაგებას, ისე სამართლიანობის საზომს. ამის შემოწმება ადვილად შეიძლება რეალურ სინამდვილეში ადამიანთა ყოფაცხოვრების დაკვირვების გზით. ადვილად გასაგებია, რომ ამ მნიშვნელობის გამო აფექტები დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის ცხოვრებაზე და რამდენადაც სცენა არის სინამდვილის ფოტოგრაფიული სურათი, მასზედაც ინარჩუნებენ ისინი თავიანთ ძალას და მართლაც ყოველ რეჟისორსა და მსახიობს უხდებათ აფექტების გავლენამნიშვნელობისათვის ანგარიშის გაწევა.

როგორ უნდა ჩატარდეს პიესის აფექტიური მომენ-

---

**რკინის კაცი** (შეკრთება და მიაჩერდება მოხუცს). ვინა ხარ შენ, მოხუცო? (სიჩუმე) რამ შეგიკრა ბაგენი? ცის არსება ხარ თუ ქვესკნელის მსახური? მე ვგრძნობ, რომ შენი გონება ინახავს რაღაცა დიდ საიდუმლოებას, რომელმაც უნდა გაგვიხსნას კარი მომავლისაკენ. მხოლოდ შენი ბაგენი არ უშვებენ გარედ საბედისწერო სიტყვას.

**მეწისქვილე** სიტყვა... სიტყვა... სიტყვა ვიცოდი... სიტყვა დავკარგე... სიტყვას დავეძებ... (პაუზა) სიტყვას დავეძებ.

**რკინის კაცი** (უფრო და უფრო განცვიფრებული და აღელვებული) მითხარ, მითხარ, მოხუცო, რაცა გაქვს სათქმელი. გამიხსენ დაკეტილი კარი მომავლისაკენ. გადამიწყვიტე ბუნდოვანი ამოცანა ჩემი მომავლისა! (მეურმეები შემოიტანენ მეორე ტომარას).

**პირველი მეურმე** წავიდეთ, წავიდეთ ჩქარა, შევატყობინოთ სოფელს რაცა ვნახეთ.

**მეორე მეურმე** ჩვენ თავი გავარიდოთ ამ მავნე სულებს. (გადიან).

(ბუჩქებში ოდნავი ხმაურობა ისმის. ფერიები შემოკრბენ და მათი ჩურჩული ფოთლების შრიალივით ისმის. შემოდის ფერიების მამიდა. ნელის ნაბიჯით მიუახლოვდება რკინის კაცს და დაკვირვებით უცქერის).

**მამიდა** ვინა ხარ შენ, უცხო ყმაწვილო კაცო, რომ ჩვენ უბედურ ქვეყანაში მოსულხარ? აქ შენ კარგი არა მოგელის რა. თუ ძალა გერჯის და გული საბრძოლველად მიგიწევს, ტყუილად თავს ნუ შეიწუხებ. აქ შენ კარგი არა დაგეყრება რა. (თვალს მოავლებს ყველას და ზეშთაგონებით) არ დამდგარა ჯერ ჟამი უკანასკნელი ბრძოლისა. (მიიხედ-მოიხედება) პირიმზე ჯერ ისევ ღრუბლებით არის მობურული. აქ ქვეყნის მხსნელი რკინის კაცი უნდა იყვეს. ის ჩვენთან მფრინავი ხალიჩით მოფრინდება. (უცნობი შეკრთება. რაღაც უნდა სთქვას, მაგრამ მამიდა განაგრძობს) თუმცა შენც რკინის ქუდი გხურავს და ძალაც, გეტყობა, შეგწევს, მაგრამ სჯობია გაარიდო თავი აქაურობას, ტყუილად წახდები და მოუსწრაფებ სიცოცხლეს შენ ყმაწვილკაცობას. (ყურადღებით და გამომცდელი თვალით უცქერის რკინის კაცს).

**რკინის კაცი** (აღელვებული, აჩქარებით) მე რკინის კაცი მქვიან, და მფრინავი ხალიჩითა ვარ გადმოფრენილი: (ყველანი შეკრთებიან) მითხარით, მითხარით ჩქარა აქაური ამბავი. მინდა დავინახო, საიდან ამოვა და სად ჩაესვენება ჩემი ბედის ვარსკვლავი. მეც უცნობი გაუბედურებული ქვეყნის შვილი ვარ. როგორ გადავრჩენილვარ საერთო უბედურებას, ეს არ ვიცი, ეს კი ვიცი, რომ ზღვის გადაღმა სამჭედლოში ვარ გაზრდილი. როცა წამოვიზარდე, მჭედელმა კვერი დაჰკრა ჩემს სახელზე გამოჭედილ ბეჭედს და ბედათ მხვდა დაკარგულ სამშობლოში დაბრუნება და სასტიკი ბრძოლის შემდეგ სამშობლოს განთავისუფლება და იქვე სიკვდილი. ეხლა კი ვხედავ, რომ დამდგარა ჟამი მტრის დამარცხებისა და განადგურებისა.

(ფერიები სწრაფად შემოსრიალდებიან და გარს შემოეხვევიან რკინის კაცსა და მამიდას. ცეკვა. რკინის კაცი გაკვირვებით ავლებს თვალს ყველას. იასამანა გაკვირვებით სდგას და აღტაცებით და სიყვარულით უცქერის რკინის კაცს. მთის მწვერვალიდან ერთი სხივი ღრუბლებს და ხის ტოტებს გამოუსხლლება და ფერადათ აშუქებს ამ სანახაობას).

**მამიდა** (როდესაც ცეკვა გათავდება) ახლა მომისმინე, ყმაწვილო კაცო. ეს წისქვილი ძველის ძველი წისქვილია. აქ მარხია ქვეყნის წარსული. ამ ასი წლის წინად, როდესაც გველეშაპი დაეპატრონა ჩვენს ქვეყანას, დამარ-

ტები? აი საკითხი, რომელიც მარადიულად აღელვებს სცენის მუშებს. თვით უდიდესი მსახიობნიც კი ფრიად მგრძნობიარე არიან ასეთ საკითხებისადმი.

ვსთქვათ მსახიობი თამაშობს სანგვინიკის როლს. როგორ მოიქცევა იგი აფექტიურ მდგომარეობაში? თუ მან იცის სანგვინიკის ფსიქოლოგია, მას არ გაუჭირდება ამ როლის სწორედ შესრულება. ცნობილია, რომ მრისხანებით შეპყრობილი სანგვინიკი, თუ ის არ იმყოფება შიშის ქვეშ სჩანდის მრავალ ბოროტებას; ვინაიდან იგი საერთოდ ფუქს ვატი ბუნებისა და სუსტი ხასიათის პატრონია, მრისხანება მასში სპობს სიკეთისა და სამართლიანობის გრძნობას. სანგვინიკს არ უყვარს დაფიქრება სერიოზულ საკითხებზე, იგი ყოველივეს სწრაფად სწყვეტს, მრისხანების აფექტი კი თავის არსებობის მომენტში ართმევს გონების იმ მცირე რაოდენობასაც, რომლითაც იგი ჩვეულებრივად არის აღჭურვილი. საბედნიეროდ ეს აფექტი მალე ჰკარგავს ძალას, მალე კვდება და თავის არსებობის კვალსიც კი არ სტოვებს სუბიექტში, ისინი არც სიკეთის ჩადენის უნარს არიან მოკლებულნი, მაგრამ ეს სიკეთე უფრო შეპირებაში გამოიხატება ვიდრე აქტიურ მოქმედებაში. სიხარულის გრძნობის გავლენის ქვეშ ის ოქროს მთებსაც კი შეგპირდება, მაგრამ შეპირება შეპირებად რჩება და მათი სიკეთე ხშირად ცარიელ სიტყვებით ამოიწურება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**კ. კაპანელი — „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“.**

გამომც. თ. ჩიქვანია. ტფ., 1925 წ. 230 გვ. ფასი 2 მ.

იშვიათად გადამიშლია წიგნი ქართულ ენაზე ასეთი ინტერესით. მინდა სიხარულით აღვნიშნო, რომ აზროვნების სფეროში იწყება ახალი ხანა. და დასაწყისი ამ ახალი ხანისა ჩვენში სამართლიანად ეკუთვნის კ. კაპანელს

სოციალური ესთეტიკის საფუძვლებს შეადგენს ორგანოტროპიზმის პრობლემა: ორგანოტროპიზმი კ. კაპანელის გაგებით მდგომარეობის და არსის ზედმოქმედებითი ურთიერთობაა. მდგომარეობა იძლევა არსის ორგანოფსიქიურ ფორმას, ეს უკანასკნელი კი ახდენს გავლენას პირველზე: არსი იძენს მდგომარეობაში ორგანიულ რეფლექსებს და ამ რეფლექსებით ახდენს გავლენას მდგომარეობაზე. იქმნება ერთგვარი შეფარდება არსისა და მდგომარეობის შორის. მთელი სამყარო ცივილიზაციით შეადგენს კუთხებრივ ყოფათა დაუსრულებლობას. სული, ინტელექტი კუთხებრივი ყოფის რეალია და ის, რასაც ისტორიაში უნივერსალიებს ეძახიან, არ არსებობს.

უნივერსალიებთან ერთად ორგანოტროპიზმი უარყოფს ჭეშმარიტების დასასაბუთებლად ლოგიურ-გნოსეოლოგიურ პრეტენზიებს, ილაშქრებს სილლოგიზმის წინააღმდეგ და მის მაგიერ შემოაქვს სოციალურ საჭიროებათა კოროლარიები. „აზრი იმდენადაა აზრი, რამდენად საგნობრივი და კორელიატიურია. ჭეშმარიტება არ არსებობს გარეშე მდგომარეობისა“. უარყოფს რა სილლოგისტურ ლოგიკას კაპანელი არჩევს ლოგიურ სინტაქსიური შემეცნებით ჩვეულებრივ სახმარ წინადადებას და დასძენს: „რეალური ცხოვრების ასახვაში აზროვნების პროცესი ყოველთვის ასეთი შემეცნების ფორმას ვერ მიიღებს. მდგომარეობის განცდის ყოველ მომენტს სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობა გადააქვს აზრის სრული შეცვლით და გამახვილების პათოსით, ერთი ადგილიდან მეორეზე“.

ავტორი მეტად ორიგინალური და გამბედავი მოაზროვნეა. ორგანო-ტროპიზმის ცნება—გარკვევით და ამ სახელწოდებით მეცნიერებაში შემოაქვს პირველად კაპანელს, იმ დროს, როდესაც მრავალი გამოჩენილი მოაზროვნე ტრიალებს არსის და მდგომარეობის ურთიერთობის გარშემო და თითქოს რაღაც მორიდებით ვერ მიუციათ მისთვის ფორმა და სახელი. ორგანოტროპიზმის შესახებ პირველად ავტორმა გამოაქვეყნა რამოდენიმე ფელეტონი 1918 წ. ერთ-ერთ ქართულ გამოცემაში „ფსიქომატერიალიზმის და ორგანოტროპიზმის“ სახელწოდებით, შემდეგ თეზისების სახით გადმოგვიშალა თავის წიგნში „სული და იდეა“ (1923 წ.) და „სოციალურ ესთეტიკის საფუძვლებში“ კი ახდენს უკეე დეტალიზაციას.

სწორი ანალიზია, როცა ავტორი ღირებულებას და ჭეშმარიტება უდგება მხოლოდ სოციალური საჭიროების საზრისით. „არ არსებობს ღირებულება თავისთავად, არის ღირებულება მხოლოდ საჭიროებისათვის.. ცხოვრება უარყოფს ყოველგვარ აბსოლიუტობას-- იდეისა, სისტემისა, პრინციპისა, მორალისა და უფლების აბსოლიუტობას.. კუთხური ხერხი და კომბინაციებია კუთხური საჭიროებისათვის... მარადიული არა რა არის სამყაროში და ამიტომ საბოლოოდ არც წუთისოფლური ღირებულებათა ვვალიფიკაციაა მისაღები.. ჭეშმარიტება დროისა და ეპოქის ილიუზიაა; ყოველი საუკუნე თავისას ამბობს; ყოველი ხალხი თავისებურად ლოცულობს; ყოველი ჯგუფი თავის სოციალური ინტერესების თვალებით იხედება

ცხებულმა სარიდან მეფემ ამ წისქვილს მიაშურა, იქ იმკითხავა, ვიდრე ჩრდილოეთისაკენ გაიქცეოდა. აქ დასტოვა მან თავისი ფარ-ხმალ-აბჯარი. იმის იარაღში იყო უცხოეთის მეფის ნაჩუქარი ელვის მფრქვეველი ხმალი, რომლის ხმარებასაც ვერავინ ახერხებდა დღემდის. რკინის კაცი სანამ არ მოვა და შენი ხმლით არ შეიარაღდება, შენ ქვეყანას არა ეშველებარაო. ასეთი პასუხი ამოუვიდა. (მეწისქვილეს) ახლა გაალე მოხუცო, განჯინა და ამოიღე იარაღი.

(მოხუცი გაეშურება წისქვილისაკენ და პატარა ხანს უკან გამოიტანს იარაღს: მუზარადი რკინისაა, მოელვარე წვეტით. აბჯარი ფოლადისა, ფარიც ფოლად-გადაკრული, შუბი ფოლადის მოელვარე წვერიანია. უცნობი სათითაოდ გასინჯავს ამ იარაღს).

**რკინის კაცი** (კაი ხნის სინჯვის შემდეგ, რომლის განმავლობაშიაც ყველა მას ყურადღებით თვალს ადევნებდა, თავს მაღლაასწევს და ზეშთაგონების კილოთი). მრავალი დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინაშე ამ იარაღს. ბევრჯელ განბანილა მტრის სისხლში ამ შუბის წვერი. ქვეყნის ბედის დამცველი ყოფილა ეს წისქვილიც. თვით განგებამ მომიყვანა აქ ბარში კაი ხნის განმავლობაში უნაყოფო ძებნის შემდეგ; აქედან უნდა დაიწყოს თაოსნობა ქვეყნის მტრისაგან განთავისუფლებისა, მაგრამ... ისმინოს მთამ და კლდემ... ისმინოს ტყემ და მინდორმა, ისმინოს ერმა...

**ყველანი** (ერთმანეთს ჩურჩულით) ყური დაუგდეთ, ყური დაუგდეთ. (რკინის კაცი ახლა სულ მთლად გაიმართება წელში და ისეთ შეხედულებას იღებს, თითქოს გაიზარდაო).

**ხმები** (ერთმანეთს ჩურჩულით) შეხედეთ, შეხედეთ, როგორ გაიზარდა. ბუმბერაზს დაემსგავსა სწორედ.

**იისამანა** (რამდენიმე ნაბიჯს წამოსდგამს წინ უნებლიედ, სულ მთლად სმენად გადაქცეული).

**რამდენიმე ფერია** ამირანს დაემსგავსა სწორედ, ამირანს!

**დანარჩენნი** შეხედეთ როგორ ცეცხლს აფრქვევენ იმისი თვალები!

**მეწისქვილე** (ამ დროს ძვირფას ხმალს მოიტანს და დასდებს რკინის კაცის წინ).

**რკინის კაცი** (განაგრძობს) მარტო ეს იარაღი და ეს წისქვილი ვერ დაიხსნის ერს მტრისაგან. მის წინააღმდეგ მხოლოდ ელვის შუბი და ხმალი გასჭრის. ეს მართალია... (მოატრიალებს შუბს. მერე ხმალს ამოიღებს ქარქაშიდან გასასინჯად და ისევ ჩასდებს. ორივ იარაღი ელვასავით გაიკრიალებს ჰაერში. ფერიებში ჩოჩქოლი ისმის. ჩუმჩუმათ ერთმანეთს ესაუბრებიან. იასამანას დიდი ღელვა ეტყობა. ერთ ნაბიჯს კიდევ წამოსდგამს წინ. ლოყები უხურს და მალმალ ხელებს იდებს ზედ, თითქოს გაგრილებას სცდილობსო). მაგრამ..· ჩვენი ხსნა მაინც ჩვენზეა უფროა დამოკიდებული, ვიდრე ჩვენ იარაღზე.

**რკინის კაცი** (განაგრძობს) იქ, ბარში საუკუნოებით დაგროვილ სიმპლეს და დამდგარ წყალს საშინელი ჭაობი გაუჩენია. შიგ გველეშაპი დაბუდებულა, მიწა და ჰაერი გაქლენთილა მისი ოშხივარით და თვითეული ამოსუნთქვა ყოველი კაცისა სწამლავს მთელ მის არსებას.

**ნარგიზა სუმბულა და იაია** ათასობით ბოროტი სული ემსახურება იმ გველეშაპს.

**ზამბახა და შროშანა** გველ-ბაყალი ქვიშასავით ირევა და აუარებელი ხალხი იჟუჟება.

**ნარგიზა** ღამით ავსულნი ძილქუშივით აწვებიან მათ და აღრჩობენ.

და ყოველი ადამიანი სულის ექსტაზით და სხეულის ნევროზით თავს ინუგეშებს. სამყარო ბაზარია, სადაც ცხოველებს შემოაქვთ ყოველი კუთხიდან თავიანთ საჭიროებებით და ინტერესებით ნაქსოვი სურვილები... სოციალური საჭიროებით და ინტერესით შებოჭილია სული და ლოგიკა ადამიანის... მდგომარეობის და გაჭივრების გარეშე ყველაფერი სოფიზმი და ლეგენდაა..."

ავტორის სტილი მხატვრული და ლამაზია.

წიგნში წამოყენებულია მრავალი საყურადღებო პრობლემა, რომელთა გარჩევა და ამოწურვა საბიბლიოგრაფიო წერილში ძნელია.

„სოციალური ესთეტიკის საფუძვლები"—ღირსია საფუძვლიანი შესწავლისა და განხილვისა არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. ეს ახალი სიტყვაა ქართულ აზროვნების და მეცნიერების სფეროში.

წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე. გამოცემულია ლამაზად.

**გ. ბ.**

---

**პროფ. დ. არაყიშვილი. ქართული მუსიკა.** (მოკლე ისტორიულიმიმოხილვა).

გამომცემლობა „მეცნიერება საქართველოში". ქუთ. 1925 წ. ტირაჟი 10.000 64 გვ. ფ. 80 კ.

პროფ. დ. არაყიშვილის ხსენებული შრომა ერთი ძვირფასი ნაწარმოებთაგანია. წიგნში მოკლედ, თანდათანობის წესით გარკვეულია ჩვენი მუსიკის თავგადასავალი—დასაბამიდან დღემდე, ე. ი. მერვე-მეცხრე საუკუნიდან ჩვენს დრომდე. დაწერილია საერთოდ მუსიკის და კერძოდ ჩვენი მუსიკის სიყვარულით გამთბარი გულით, ფათელი გონებით, ღრმა რწმენით და ცოდნით. ცნობილ მ. იპოლიტოვ-ივანოვის სიტყვით, ეს „წიგნი შეიცავს ყველა საჭირო მასალას, სრულის სისწორით აღნიშნავს ისტორიული განვითარების გზას და შემდგომ გამოკვლევა რთათვის ძვირფას საფუძველს წარმოადგენს... ეს შრომა წარმოადგენს იყრაჟს ქართული მუსიკის ისტორიის დარგში".

წიგნი მეტად სხარტულად ეხება ჩვენი სამუსიკოს შემოქმედება-აღორძინების ყოველ საფეხურს (ამ საგანზე მოკლე ხანში ალბათ უფრო ვრცელი გამოკვლევანი დაიწერება), თითქოს ძუნწობსო. მიუხედავად ამისა, პატივცემული ავტორი მაინც გადაჭრით ამბობს: „ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველებს საკუთარი სამუსიკო მეცნიერება ჰქონიათ. ბარბაროსთა განუწყვეტელი იერიშებისა და თავდასხმების წყალობით აუარებელი სამუსიკო ნაშთია განადგურებული". თუმცა ეს ასეა, ჩვენ ხალხში ჯერ კიდევ მრავალი სამუსიკო განძია დაცული, რომლის წყალობით ჩვენი მუსიკა კვლავ აღორძინების გზას დაადგა. გამოჩნდა ქართველთა „დამოუკიდებელი მუსიკალური შემოქმედება": ამ შ-მოქმედებამ გვიჩვენა ქართველის ერის საკვირველი ცხოვე მყოფელობა და აღინიშნა, რომ **ამიერიდან ქართველი ერის ისტორიის ახალი ფურცლები იწერება... საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენ გამოვედით ჰორიზონტზე და, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აქედან უკვე აღარ ჩავალთ"**. (ხაზი ავტორისაა).

**ი. არიელი.**

**მიხ. აბრამიშვილი. ძველი ქართული თეატრი.** (ისტორიული მიმოხილვა).

(გამომცემლობა „მეცნიერება საქართველოში". ქუთ. 1925 წ. 66 (41+25) გვ. ფ. ერთი მანეთი.

ჩვენი მწიგნობრობის საგანძური თანდათან ძვირფასი შრომებით ივსება. ერთი ასეთი ნაშრომთაგანია ზემოხსენებული წიგნი. აქ გაკვრით წარმოდგენილია ყველა ის მასალა, რაც სათეატრო ხელოვნებას წინ უძღვის (ბერიკობა, ყეენობა, ჭარი, მგოსნობა, სახიობა და სხ.), აქვე განხილულია ლიტურგიული დრამები, ირაკლის თეატრი, ქართული ძველი თეატრის რეპერტუარი და პირველი ქართველი მსახიობნი, რომელნიც თვისი მეთაურის (მაჩაბელის) წინამძღოლობით სახელოვნად დაიღუპნენ სამამულო ომში აღამაჰმად ხანის შემოსევის დროს (1795 წ.). წიგნს დამატებად დართული აქვს ძველი თეატრის რეპერტუარი: ა) დავით ჩოლოყაშვილის მიერ ნათარგმნი ტრაღედია „ეფიღენია", ბ) გიორგი ავალიშვილის „უბნობა მკვდართა", გ) ალ. ჭავჭავაძის მიერ ფრანგულიდან ნათარგმნი „სინანა", ტრაღ. კორნელისა (მონოლოგი I მ.) დ) ჩამოთვლილია ვის რა პიესა უთარგმნია, მოყვანილია ცნობა ორიგინალურ პიესების წერვის შესახებ (რაიც, ალბად, აღამაჰმად ხანის ცეცხლმა შთანთქა). ამ ნაშრომით უდაოდ მტკიცდება, რომ ერეკლე მეფის კარზე ყოფილა თეატრი, საკმაოდ გარკვეულისა და თავისთავადური სახით, საკუთარის რეპერტუარით. ყოველივე ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ჩვენი თეატრის თარიღი, შორიდან თუ არა, მე-18-ე საუკ. მიწურულიდან (1791 წ.) მაინც უნდა ვიანგარიშოთ. [ჩვენ ვფიქრობთ, სათეატრო ხელოვნება ყვენში კიდევ უფრო ადრე, მაგ მე-XII-ე ს. უნდა ყოფილიყოს]. ეს წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ყველა იმას, რომელთაც ჩვენი თეატრის წარსულის შესწავლა და, საზოგადოდ, ქართველთა ხელოვნების მხარე რადმე ულირს.

წიგნი სუფთად და ლაზათიანად არის გამოცემული. ორიოდე საეჭვო ადგილი შეგვხვდა: ერთგან (28 გვ.) ნათქვამია: „შემდეგში რომში არსდება... პირველი ქართული სტამბი 1630 წ.".

სხვა ცნობები გვეუბნებიან, რომ იგი სტამბა დაარსებულია 1622—25 წ. წ., პირველი წიგნი დაბეჭდილია 1625 წ. („ლოცვანი"), მეორე 1629 წ („ქართული ანბანი", ხოლო განსვენებულ მ თამარაშვილის ხელნაწერებსა და სხ. მასალების შორის აღმოუჩენიათ 1627 წ. დაბეჭდილი ქართული წიგნი.

მეორე ადგილას (41 გვ.): „მხოლოდ 1852 წ. ეყრება საფუძველი „ახალ ქართულ თეატრს" გიორგი ერისთავის ინიციატორობით" და სხ.—

დღემდე ჩვენ მხოლოდ ერთი თარიღი ვიცოდით: 1850 წ. იანვ. 2. მესამე ადგილას (11 გვ.) „ყეენობა გადავარდა მე-XVIII-ე ს. ბოლოსო.—ყეენობამ ნამდვილად მე-XIX-ე საუკუნის გასულამდე მოაღწია.

თუ აქ კორექტურულ შეცდომებთან არა გვაქვს საქმე, სასურველია ვიცოდეთ, ავტორი რა წყაროებს ემყარება?

**ი.**

---

**ზამბახა** სალსალამათ ფუნჩულა ბავშებს დილას არ უთენებენ.

**მამიდა** იქ ყვავილი არა ყვავილობს და ვარდი არა ვარდობს.

**ფერიები** (იმეორებენ) ყვავილი არა ყვავილობს და ვარდი არა ვარდობს.

**მამიდა** იქ საუკეთესო მოქარგული მდელო უდროვო საფლავია ყოველი სულდგმულისა.

**ფერიები** საფლავია ყოველი სულდგმულისა.

**მამიდა** ყოველი ღერი ბალახისა გაჟღენთილია გველეშაპის სუნთქვით და იარაღია ბოროტი სულისა.

**ფერიები** გაჟღენთილია გველეშაპის სუნთქვით და იარაღია ბოროტი სულისა.

**იასამანა** გავსწიროთ თავი, დავიხსნათ ხალხი. ნეტავ რა უშველის ხალხს, რა დაიხსნის წამებისაგან?

**რკინის კაცი** ვისაც არ უსუნთქია მთის წმინდა ჰაერით, ვისაც არ უპკურებია მთის ანკარა წყარო, ვისაც არ უნახავს ქალწული პირიმზის სახე, ის ვერც ეღირსება მტრისგან ხსნას.

**ფერიები** ვისაც არ უნახავს პირიმზის სახე.

**იაია** პირიმზის სახე.

**შროშანა** პირიმზის სახე.

**რკინის კაცი** ვისაც სიყვარულით არ შეუხედია იმ თოვლიან მთისათვის, რომელიც ქვეყანას რისხვით გადმოჰყურობს, ის ვერც მოესწრება თავისუფლებას.

**ყველანი** ვისაც სიყვარულით არ შეუხედია თოვლიან მთისათვის, ის ვერც ეღირსება თავისუფლებას.

**რკინის კაცი** ვინც შიშის ზარით შეჰყურებს იმ წამოწვდილ კლდეს და ეშინიან მისი ჩამონგრევისა და ქვეყნის წალეკვისა, ის ვერ იხილავს თავისუფლებას. (სიჩუმე).

**რკინის კაცი** ვისაც ეშინიან შეგუბებული მთის ნაკადულის გადმოხეთქისა ჭაობის გასაწმენდათ და დამპალი ბარის გადასარეცხად, ის ვერ იხილავს თავისუფლებას.

**იასამანა** (ექსტაზით) ის ვერ იხილავს თავისუფლებას.

**რკინის კაცი** როცა ეს მოხდება, მაშინ დადგება ჟამი მტერთან პირისპირ ბრძოლისა ცეცხლითა და ფოლადით. (მიატრიალებს შუბს, შუბი ჰაერში გაიკრიალებს. ყველანი გაშეშებულნი არიან რამდენიმე ხანს, თითქოს ზარდაცემულნი. პაუზა). ვინც მხათა ხართ, ვიაროთ ბარისაკენ. (მობრუნდება. მძლავრის ნაბიჯით მიდის ქვევით. იასამანა ხან სირბილით მისდევს, რომ არ ჩამორჩეს, ხან უკან დგება და ფერიებს უცქერის. ფერიები ნელ-ნელა, გაუბედავად მისდევენ. როდესაც ყველანი გავლენ, მეწისქვილე დაავლებს ხელს ბრინჯაოს შუბს და მისდევს ყველა დანარჩენთ. სცენის გარედ ისმის მისი ხმა:

**მეწისქვილე**
სარიდან მეფე იბრძოდა,
მიწას გაჰქონდა გრიალი,
სულ ელვა-ჰექვას ისროდა
ის გველეშაპი ტიალი.

ფარდა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# თბილისის თეატრებში

**რუსთაველის თეატრი.**

ასეთი გაცხოველებული მუშაობა როგორც მიმდინარე სეზონში სწარმოებს, კარგა ხანია არ ყოფილა. მზადდება ახალი დადგმები. ამ ჟამად მზადაა:

გრ. რობაქიძის „ლამარა“, რომელიც დაიდგმის კორპ. „დურუჯი“-ს სამი წლის თავზედ, სადღესასწაულო წარმოდგენად. ამ პიესისათვის მზადდება ახალი დეკორაციები, კოსტიუმ ბი პარიზიდან დაბრუნებულ მხატვარ (ჩვენი ჟურნალის თანამშრომელ) ლადო გუდიაშვილის მიერ. დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის. მთავარ როლებში: თ. ჭავჭავაძე, გ. დავითაშვილი, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, პლ. კორიშელი.

მზადაა თ. ვახვახიშვილის პანტომიმა, „მზეთამზე“ დადგმა კ. მარჯანიშვილის. წავა დაახლოებით თებერვლის შუა რიცხვებში. მზადდება „მეფე ლირი“ და სხ.

აქვე მუშაობა დაიწყო საოპერო სტუდიამ, სისტემატიურად, რომელმაც უკვე დასდგა „ფარული ქორწინება“, რაც სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა საზოგადოების ფართე ყურადღება, რომ საქმეს ხალისიანობა დაეტყოს.

ამჟამად მზადდება საოპერო სტუდიის მიერ, „ჯამბაზები“, „რიგოლეტო“, „ბოგემა“ და სხ. **რინ.**

**ოპერის თეატრი.**

მიმდინარე სეზონი ჯერ-ჯერობით იმედიანად გამოიცქირება. საზოგადოება ძალიან ეტანება და უნდა ითქვას, რომ თუ ასე გაგრძელდა სეზონი გაიმარჯვებს.

ახლო ხანში იდგმის ოპერა „ოტელო“ ს. ინაშვილის და კიპარენკო-დამანსკის მონაწილეობით. დადგმა ურბანის. თებერვლის შუა რიცხვებში „ნერონი“ დადგმა კ. მარჯანიშვილის. მთავარ როლებში: ბოკოვა, კიპარენკო-დამანსკი. დაახლოებით 15 თებერვლისათვის დაიდგმის ოპერა „ღალატი“ ქართ. ენაზე მონაწ.: ალეშკო, ქუმსიაშვილი, ოპერას დასდგავს ალ. წუწუნავა.

თებერვლის შუა რიცხვებში ს. ინაშვილი გაემგზავრება გასტროლებზე საქართველოდან. მოკლე ხანში ოპერაში გასტროლებზე ჩამოვლენ: მიგაი და სტეპანოვი.

**წითელი თეატრი.**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წითელი თეატრის ქართული დრამა აიტანს ყოველგვარ რთულ და მხატვრულ დადგმებს—რომლის თავდებათ ამ სეზონში ნათლად მოსჩანს—„ჰირველი ცოლის მორჯულება“-ს ლამაზი დადგმა, ახალ მიზანსცენებით და სტილით. მსახიობთა მიერ შესრულებულმა უაღრესად შეგნებულმა მომენტებმა, წარუშლელი ნიშანი დასტოვა წითელი თეატრის მატიანეში. პიესა დასდგა ჭიაურელმა დეკორაციები და კოსტიუმები—კ. ზდანევიჩის.

ამ სეზონში აღსანიშნავია კიდევ,—განახლებული დადგმა „ჯანყი გურიაში“, ბასტილიის აღება“.

დაიდგა და რამდენჯერმე განმეორებულ იქნა საზ. მოთხ. ტრ. რამიშვილის ახალი პიესა „გაჭირვების ტალკვესი“. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ პიესას აკლია რეჟისორის ხელი, მას მეტი გაშლა-გაფართოება სჭირია.

ამ სეზონში რაღაც მანქანებით რეპერტუარში შეიჭრა პიესა „ყაჩაღები“, ხსენებული პიესა დიდი მომზადების და სერიოზული ყურადღების შემდეგ შეიძლება ახალგაზრდა მსახიობთ დაეძლიათ—ამ სიტყვის სრულის მნიშვნელობით, მაგრამ ისეთი ნაჩქარევი მზადება და ბალასტური შეხანხვლა პიესის, მართლაც დამარცხების მომასწავებელი იყო და აკი ვერც ასცდა იგი ამ მარცხს. თეატრის მეთაურთ მართებთ ასეთ დიდ პიესებს გვერდი აუხვიონ, რომ ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობთა დაბეგვრა ასეთი მძიმე რამით, მოასწავებს მათ დათენთვა-დაძაბუნებას.

ამ სეზონში მზადდება: “გუშინდელნი“, „სულელი“, „ვირის ჩრდილი“, „ქეციანი ძაღლი“, „ვინ არის დამნაშავე“ და „სამხედრო ბანაკში“.

გ. ი.

**კამერული თეატრი.**

ასეთ თეატრში ადამიანი ეძებს საღ ჰიუმორს, დასვენებას, მხიარულ სიცილს. „მხიარულ კომედიათა საღამო“ აცხადებს თეატრი. მიდიხარ და წინასწარ უყენებ თეატრს მოთხოვნილებას, რომ საღამომ უნდა მოგცეს მხიარული კომედია, ხოლო კომედიამ, რასაკვირველია ცხოვრების რომელიმე კუთხე უნდა ასახოს. სამწუხაროდ, თეატრი ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. კომედიები უშინაარსოა, არავითარი შემაერთებელი ძაფი თანამედროვე ცხოვრებასა და ამ კომედიებს შორის არ არის. უყურებ უგულოდ, ცივად ასეთ კომედიას და ფიქრობ: ვის უნდა ეს და რათ? არ არის დამაკმაყოფილებელი მუსინალური ნაწილიც. მსახიობები სუსტნი არიან. შეიძლებოდა „შარმანკა“ (კუპლეტები) ყოფილიყო შინაარსიანი და საინტერესო. აქ შეიძლებოდა ჰიუმორისტულ კუპლეტებს ეჩვენებინა ჩვენი სინამდვილის მახინჯი მხარეები, სამწუხარო და სასაცილო. რუსეთში ასეთი კუპლეტები ასეთ თეატრებში დიდძალ ხალხს იზიდავენ, სწორედ იმით, რომ კუპლეტები ყოველდღიურ საჭირბოროტო მოვლენებს ეხებიან. აქ კი ისევ და ისევ „მარუსი ოტრავილა“-ს მღერიან...

თეატრს, თუ უნდა გაამართლოს საზოგადოებრივი ღირებულება, უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. ამისათვის მან უნდა გადაახალისოს რეპერტუარიცა და დასიც. **რ.**

# „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-მ ჩვენი სამწერლო და სათეატრო-სახელოვნო ასპარეზზე ხანგრძლივი მუშაობით საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა ყველასი ვალია ვისაც სწამს ქართული კულტურის და ხელოვნების წინსვლა, ამ ჟურნალს თავისი წვლილით შეუსუმბუქოს მძიმე პირობები, ჩემის მხრივ შემომაქვს ჟურნალის ფონდისთვის 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ნაცნობ-მეგობართ: „მერკუ-ბანკიდან“ 1) **ნიკო ყარ. თავდგირიძეს, 2) აბესალომ გიორ. ბუკიას,** 3) **ნოე ძიძიშვილს,** და 1. **მიტროფანე ლალიძეს,** 2) **დავით ელიზბარის ძე ქებაძეს, 3) დავით იაგორის-ძე კალანდაძეს.**

პატივისცემით **ვ. ჯაფარიძე.**

ვაშა განახლებულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს მოვალედ ვთვლი ჩემს თავს ჩემი წვლილით დავეხმარო, მის გამოცემას, ამიტომ შემომაქვს 10 მან. და ღრმა პატივისცემით ვიწვევ შემდეგ ნაცნობთ. 1. **გრ. საგანელიძეს,** 2. **სიმონ კაციტაძეს,** 3. **თეოფილე ლვდელაძეს,** 4. **ალექ. ომანიძეს,** 5. **გ. მირინაშვილს,** 6. **მ. თალაკვაძეს.** და ვთხოვთ თავიანთი წვლილით დაეხმარონ ყველასთვის საყვარელ ჟურნალს.

პატ. **გ. კალანდაძე**

განახლებულ ჟურ. “თეატრი და ცხოვრების“ დანახვამ უზომო სიხარულით აგვავსო, გვწამს ეს ჟურნალი როგორც განვლილ ხუთმეტ წლის განმავლობაში ამიერიდანაც მხნედ ემსახურება ჩვენი ქვეყნის მწერლობისა და თეატრის წინსვლის საქმეს, მისი გამოცემის თანხისათვის შემომაქვს 10 მან. და ვიწვევთ

**ტფილისიდან: გრ. ნადირაძეს, სოლ. აჴვლედიანს.**

**ბათომიდან: ვალია ნესტ.-ასულს აბაშიძეს, ვან. ქართველიშვილს, გოგი ღლონტის, კოლია შენგელიას.**

**ოზურგეთიდან: ელისო ანთელაძეს, და კირილე მამინაიშვილს.**

სალამით **ვალენტინა, და თამარა ცერცვაძე**

მთავარი რედაქტორი: იოსებ იმედაშვილი ხელმძღვანელი: კოლეგია რედ. პ. მგ. რწმ.: შ. იმედაშვილი

ფასი 25 კაპ.

# ნ უ ს ხ ა

სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის **ლატარიის მოგებულ ბილეთებისა:*)**

| ს. | ბ. | ს. | ბ. | ს. | ბ. | ს. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 466—50 | 47 | 101—25 | 139 | 232—50 | 199 | 384—50 |
| 2 | 499—10 | 75 | 167—10 | 140 | 172—10 | 200 | 128—10 |
| 3 | 43—25 | 77 | 257—25 | 140 | 69—10 | 201 | 82—10 |
| 7 | 437—10 | 80 | 80—10 | 143 | 170—10 | 206 | 146—10 |
| 16 | 483—10 | 80 | 372—10 | 143 | 113—10 | 215 | 254—10 |
| 13 | 408—10 | 88 | 240—25 | 147 | 118—10 | 218 | 244—125 |
| 14 | 22—10 | 88 | 457—25 | 155 | 249—10 | 221 | 151—10 |
| 15 | 395—10 | 89 | 105—10 | 157 | 66—50 | 227 | 288—10 |
| 17 | 191—10 | 93 | 155—10 | 158 | 245—25 | 228 | 343—10 |
| 19 | 346—50 | 95 | 404—10 | 152 | 493—25 | 230 | 426—10 |
| 24 | 28—10 | 97 | 203—19 | 161 | 36—10 | 231 | 369—10 |
| 25 | 400—25 | 101 | 73—10 | 164 | 63—10 | 238 | 32—25 |
| 30 | 55—10 | 102 | 14—10 | 165 | 95—10 | 240 | 31—10 |
| 33 | 158—10 | 103 | 275—50 | 167 | 50—10 | 241 | 294—10 |
| 38 | 388—10 | 105 | 276—10 | 168 | 469—50 | 259 | 138—10 |
| 42 | 40—250 | 106 | 286—500 | 173 | 277—10 | 260 | 457—10 |
| 43 | 393—10 | 107 | 377—10 | 172 | 197—10 | 251 | 454—10 |
| 45 | 77—10 | 112 | 345—10 | 174 | 127—10 | 262 | 315—10 |
| 46 | 279—10 | 114 | 354—50 | 175 | 213—25 | 267 | 21—10 |
| 47 | 248—10 | 122 | 225—10 | 176 | 246—10 | 282 | 273—25 |
| 50 | 337—25 | 123 | 58—50 | 177 | 20—10 | 307 | 456—10 |
| 51 | 119—10 | 124 | 74—25 | 179 | 305—55 | 328 | 222—10 |
| 53 | 364—10 | 130 | 89—10 | 187 | 85—10 | 329 | 241—25 |
| 56 | 30—10 | 131 | 200—10 | 189 | 434—10 | 352 | 228—10 |
| 61 | 230—25 | 132 | 348—10 | 193 | 162—50 | 353 | 238—25 |
| 62 | 314—10 | 133 | 200—25 | 196 | 189—25 | 354 | 175—10 |
| 67 | 356—10 | 136 | 8—125 | 197 | 230—1000 | 355 | 17—10 |
| 73 | 46—10 | | | | | 356 | 123—10 |

მოგების მიღება შეიძლება ა. წ. მარტის 1-ღე სალატარიო კომისიისაგან ძნელაძის ქ. (ყ. საპიორის) №30

*) იბეჭდება შეცდომების გასწორებით.

სალატარიო კომისია.


იბეჭდება და გამოვა ჩქარა

ია კარბარეთელის

ორი რომანსი

1. „შენ რაღას ფიქრობ არაგვო“

ხალხური მოლოდიე

2. თეთრი ვარდი

დაიბეჭდა და იყიდება

ირ. ლუკაშვილის პიესა

„უკვდავება“

ფასი 30 კაპ.

იბეჭდება და გამოვა

თუმანიშვილის ბოლოს

„ცხოვრების სარკე“

პიესათა და ლიტერატ. კრებული

ფასი 2 მან.


სტამბა „კრასნი ვოინ“ გორკის ქუჩა №1 მთვლ. 129